ახალი განათლება

09-15.05.2019

№18 (852) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

მასწავლებელზეა დამოკიდებული ამ ქვეყნის მომავალი

მასწავლებლის პროფესიას, სხვა პროფესიებთან მიმართებაში, ცვლის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს, ანუ მასწავლებელი იწყებს სამსახურს და 80 წლის ასაკამდე ასწავლის. ხალხი პერიოდის განმავლობაში გაჩერდა ეს პროფესია და ახალ ადამიანებს შესვლის საშუალება არაა მიეცათ. ბუნებრივია, როცა პროფესიაზე მოთხოვნა არაა არის, ახალგაზრდა, მონდომებითაც რომ იყოს პედაგოგი, იმის გამო, რომ უახლოესი ათი წლის განმავლობაში დასაქმების შანსი არ აქვს, სხვა პროფესიას ირჩევს. აქედან გამომდინარე, ყოველწლიურად ვკარგავთ პერსპექტიულ ახალგაზრდებს და ვერაა ხდება ახალი სისხლის შედინება ამ პროფესიაში. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ ასაკი ცუდ პედაგოგობას არ ნიშნავს. დამეთანხმებით, კარგ მასწავლებელს არც ერთ ასაკში არ უქრის კომპეტენციის დადასტურება.

ბეჩიკა შუკაკიძე

სამოქალაქო გაკვეთილი

წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ დარაქოვის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგის, ბოჭკა ბანძილიანის მიერ მეათე კლასში ჩატარებული გაკვეთილი

გვერდი 4

ინკლუზიური განათლება

რჩევები მასწავლებლებს, რომლებიც პირველად ასწავლიან სსსმ მოსწავლეებს

ნინო კაპეისკა
თბილისის №200 სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი

გვერდი 5

ქართველები უცხოეთში

„ყველა ქვეყნის სიძლიერე განათლების სისტემასა და ინტელექტუალურ რესურსებშია. საქართველომაც პრიორიტეტად ინტელექტუალური რესურსები უნდა აირჩიოს“.

შოთა ვაშაკიძე

გვერდი 7



ინტერვიუ

მასწავლებელზეა დამოკიდებული ამ ქვეყნის მომავალი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა, რეფორმის ფარგლებში, დააანონსა ის უმთავრესი ცვლილება, რომელიც მასწავლებლთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას სრულიად ახალ ფორმატში – „მასწავლებლის რეგულირების წესში“ – მოაქცევს. ახალი წესის მიხედვით უქმდება კრედიტების დაგროვების სისტემა და სტატუსიდან სტატუსზე გადასვლის გზად მხოლოდ გამოცდა რჩება, ხოლო პედაგოგის პროფესიულ განვითარებას სკოლა დააკვირდება.

როგორ გეგმავს ცენტრი მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას და რაზე აკეთებს მთავარ გათვლას, ამის შესახებ გვესაუბრება ცენტრის ხელმძღვანელი გერიკა შუკაკიძე.

თუმცა, ვიდრე ახალი სისტემა დაინერგება, არსებული მდგომარეობით, 2019 წლის ბოლომდე, მასწავლებლებს სქემით განსაზღვრული ყველა აქტივობის განხორციელების შესაძლებლობა ექნებათ. ზაფხულის გამოცდების შემდეგ კი, ვინც ვერ აიღებს საკმარის კრედიტქულას სტატუსის შესაცვლელად, მას წლის ბოლომდე შეეძლება, სხვა აქტივობების ხარჯზე გააგრძელოს კრედიტქულების შევსება. ზაფხულის გამოცდების გარდა, დეკემბრის ბოლომდე, ხომ არ იგეგმება კიდევ გამოცდის დანიშვნა? ამის შესახებ ცენტრის ხელმძღვანელი ამბობს, რომ „როგორც ცნობილია, მხოლოდ ერთხელ ჩატარდება გამოცდა. დანამდვილებით კი შემიძლია გითხრათ, რომ წლის ბოლომდე მასწავლებლები შეძლებენ კრედიტქულების მოგროვებას არსებული სქემის აქტივობების მიხედვით. სტატუსების მინიჭება კი, შესაბამისად, ეტაპობრივად წლის ბოლომდე მოხდება.“

– თავისთავად, ცვლილება იწყება მაშინ, როცა არსებული მოცემულობა არ აკმაყოფილებს თანამედროვე განათლების სისტემის გამოწვევებს. რატომ ვერ მოხდა არსებული სქემით, მასწავლებლების უფრო მასშტაბური წინსვლა? რა არის ის მთავარი ხარვეზი, რაც სქემის ცვლილების საფუძველი გახდა?

– ბიუროკრატია. სქემის დადებითი მხარე ის იყო, რომ პროფესიული განვითარების საშუალებას იძლეოდა, ბევრმა არ გამოიყენა ისე, როგორც დაგეგმილი იყო და წმინდა წყლის ბუღალტერიად და ბიუროკრატიად იქცა. ყველზე ცუდი კი ის იყო, რომ მასწავლებელი დააცილა საკლასო ოთახს, რადგან, ძირითადად, სქემის აქტივობების შესრულებაზე იყო ფოკუსირებული.

– უმთავრესი ცვლილება, რომელსაც ცენტრი გეგმავს და უკვე დააანონსეთ, სქემის ცვლილებაა, როგორი სისტემა დაინერგება 2020 წლიდან?

– 2020 წლიდან აღარ იარსებებს აღარც კრედიტქულების დაგროვების სისტემა და აღარც გარე დაკვირვება. მას ჩაანაცვლებს მასწავლებლის რეგულირების წესი, რომლის მიხედვითაც, მასწავლებლობის მსურველებს და მათ, ვისაც სურვილი აქვთ გაიუმჯობესონ მდგომარეობა, გამოცდის ჩაბარება მოუწევთ, ხოლო პროფესიულ საჭიროებას სკოლა დაადგენს. მასწავლებელი პროფესიული საჭიროებისთვის გაივლის რამდენიმე ტრენინგს, ოღონდ ამაში კრედიტქულებს აღარ მიიღებს.

მასწავლებლის პროფესიულ საჭიროებას დაადგენს სკოლის ხარისხის განვითარებისა და თანამშრომლობის ჯგუფი – სკოლაზე იქნება დამოკიდებული იმის გარკვევა, თუ რა საჭიროება აქვს პედაგოგს პროფესიული განვითარებისთვის. ვფიქრობთ, პრაქტიკოსმა მასწავლებელმა მეტი საათი უნდა გაიაროს პროფესიული განვითარებისთვის, უფროსმა, წამყვანმა და მენტორმა, შესაბამისად, ნაკლები. თუმცა, რაღაც ფორმით პროფესიული განვითარება ყველამ უნდა გაიაროს. ძირითადი აქცენტი გაკეთდება სასკოლო პრაქტიკის კვლევაზე. რადგან ბევრი სიახლე იგეგმება ინკლუზიურ განათლებაში, ჩვენი პოზიციაა, მასწავლებლები გადაემზადონ ამ მიმართულებით, ასევე, სასკოლო უსაფრთხოებასა და პროფესიულ უნარებში. პროფესიული გადამზადება მუდმივად საჭიროა, მაგრამ მასწავლებლებზე აღარ იქნება ზეწოლა, რომ დააგროვონ კრედიტები. რაც შეეხება საფეხურებრივ წინსვლას, გამოცდით განხორციელდება. ვმუშაობთ გამოცდის ასეთ ტიპზე: მაგალითად, ვარ უფროსი მასწავლებელი და მინდა გავხდე წამყვანი ან მენტორი. ამისთვის მომიწევს პროფესიული უნარების რთული კატეგორიის ტესტის ჩაბარება. პროფესიულ უნარებში ტესტი რამდენიმე კატეგორიად დაიყოფა, საგნის გამოცდა კი ერთი ტიპის იქნება. საგანში საშუალო ბარიერად განისაზღვრება 50 პროცენტი, იგივე ბარიერი დაწესდება პროფესიულ უნარებშიც.

ახალი წესის მიხედვით, გვექნება ორი გამოცდა: საგნის კომპეტენციის დადასტურება და პროფესიული უნარები. პროფესიულ უნარებში სამი ტიპის გამოცდა იგეგმება – პირობითად, I -II -III კატეგორიის. რომელ კატეგორიასაც ჩააბარებს მასწავლებელი, იმ კატეგორიის შესაბამის სტატუსს მიიღებს. მაგალითად, თუ უფროსი მასწავლებელი გადაწყვეტს, რომ გახდეს პირდაპირ მენტორი და აღარ სურს წამყვანი მასწავლებლობა, ის აირჩევს მენტორისთვის განკუთვნილ ტესტს და აღარ მოუწევს ლოდინი, რომ ჯერ გახდეს წამყვანი და შემდეგ მენტორი.

– პრაქტიკოს მასწავლებლებს ექნებათ თუ არა უფლება ასეთი ფორმით გახდნენ პირდაპირ წამყვანი ან მენტორი მასწავლებლები?

– მათ აუცილებლად მოუწევთ ჯერ საგნის გამოცდის ჩაბარება, რადგან, პირველ რიგში, საგნის კომპეტენცია უნდა დაადასტურონ და გახდნენ უფროსი მასწავლებლები. რაც შეეხება წამყვანისა და მენტორის სტატუსის მოსაპოვებელ გამოცდას, ამაზე საბოლოოდ არ ვართ შეთანხმებული, თუმცა ვერსიად განიხილება.

საგნის კომპეტენციის დადასტურება მოუწევს მხოლოდ პრაქტიკოს მასწავლებელს, დანარჩენი საფეხურის მასწავლებლები კი, სტატუსის გასაუმჯობესებლად, პროფესიული უნარების გამოცდას ჩააბარებენ.

– როგორ მოხდება სტატუსის შენარჩუნება? მაგალითად, არსებული სქემის მიხედვით, მენტორის სტატუსი უვადოა, ახალი წესით მანაც უნდა იზრუნოს სტატუსის შენარჩუნებაზე?

– რასაკვირველია, უნდა იზრუნოს. ყველაფერი დამსახურებითაა ცხოვრებაში და რატომ იქნება მენტორობა გამონაკლისი? მე პირადად ძალიან მაინტერესებს, მენტორი მასწავლებელი ამართლებს თუ არა წოდებას საგაკვეთილო პროცესში, იქ თუ ადასტურებს თავის პროფესიონალიზმს, ატარებს თუ არა სკოლის საჭიროებაზე დაფუძნებულ კვლევას, იმ აქტივობებს, რასაც სკოლა დაუდგენს. ყოველ თანამდებობას ექნება თავისი სამსახურებრივი აღწერილობა, შესაბამისი იქნება მოთხოვნებიც.

როგორ შეიძლება ადამიანი მასზე დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებდეს სათანადოდ და სამსახური ჰქონდეს მთელი ცხოვრება. თუკი გამოვლინდება, რომ მენტორი ვერ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს, მას სტატუსს ვერ ჩამოართმევ, მაგრამ შეიძლება სამსახური დაკარგოს. სტატუსი არ ნიშნავს მის ხელშეუხებლობას, რადგან შეიძლება მასწავლებელი გახდეს მენტორი, მაგრამ კლასში გაკვეთილს ვერ ატარებდეს, ბავშვებს ვერ აჩერებდეს ან აგრესიულად იქცეოდეს. მაშინ, რატომ უნდა ჰქონდეს ეს სტატუსი და ამხელა ხელფასი?

სტატუსის შესანარჩუნებლად ყველა მასწავლებელს შეაფასებს ხარისხისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი (ეს ჯგუფი ორიენტირებული იქნება თანამშრომლობაზე). მასწავლებლის საქმიანობა ყველაზე კარგად სად ჩანს? რა თქმა უნდა, საკლასო ოთახში. ამიტომ, მას შეფასების ჯგუფი სწორედ სასწავლო პროცესში შეაფასებს, თუმცა, ეს არ იქნება გარე დაკვირვების ტიპის დაკვირვება, არამედ მასწავლებლის საქამიანობის თანამშრომლობითი შეფასება, რათა მასწავლებელი უკეთესი გახდეს. მასწავლებელს შეაფასებენ კათედრის ხელმძღვანელები, ასევე, წამყვანი და მენტორი მასწავლებლები. ისინი დააკვირდებიან და რჩევებს მისცემენ.

– ხარისხის განვითარებისა და თანამშრომლობის ჯგუფს საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა და ფუნქცია ენიჭება. ვინ იქნებიან ეს ადამიანები, რომლებიც მასწავლებლებს შეაფასებენ და მათ საჭიროებებს დაადგენენ?

– ხარისხის მართვის ჯგუფში ადამიანები მხოლოდ დამსახურების მიხედვით შეირჩევიან, ეს იქნება თანამდებობა სკოლაში. მათი სახით გვინდა სკოლაში საშუალო რგოლის მენეჯმენტი გავაჩინოთ, რომ დირექტორს ჰქონდეს საშუალება, მათი დახმარებით, საგანმანათლებლო პროცესის ლიდერად ჩამოყალიბდეს. როგორც ვახსენე, ამ ჯგუფში მოიაზრებიან კათედრის გამგეები. ისინიც დამსახურებით უნდა შეირჩნენ და, რა მორიგეობით. მორიგეობითი თანამდებობა საერთოდ გაგიგიათ ბუნებაში? შეიძლება პრეზიდენტი ან დირექტორი იყოს მორიგეობით? კათედრის გამგის ადგილს დაიკავებს ის დამსახურებული მასწავლებელი, რომელმაც, წლების განმავლობაში, დაადასტურა როგორც საგნობრივი, ისე პროფესიული კომპეტენციები. უპირობოდ, ასეთ ადამიანს ეკუთვნის ეს თანამდებობა.

დღეს სკოლაში მხოლოდ ორი თანამდებობა არსებობს – დირექტორი და მოადგილე, სხვა დანარჩენი მასწავლებელია. არც ერთი სტრუქტურული ორგანიზაცია არ არის, სადაც საშუალო ან დაბალი რგოლის მენეჯერები არ ჰყავთ. ამიტომ, ვფიქრობთ, სკოლაშიც შევქმნათ რგოლი, რომელიც კათედრის გამგეებით და მასწავლებლებით დაკომპლექტდება. ოღონდ მათი შერჩევა, კიდევ გავიმეორებ, აუცილებლად დამსახურების მიხედვით უნდა მოხდეს. ისინი სკოლამ უნდა შეარჩიოს, ჩვენ კი უნდა ვენდოთ მათ, რომ დაგვეხმარონ მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაში.

– ამბობთ, რომ უნდა ენდოთ, მაგრამ როგორ შეამოწმებთ ამართლებს თუ არა ეს რგოლი თქვენს ნდობას?

– ნებისმიერმა ქვეყანამ, რომელმაც წარმატებული განათლების სისტემა შექმნა სწორედ ეს გზა აირჩია – ვიდრე არ ენდო, არაფერი გამოუვიდა.

როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა გავაკონტროლო 2083 სკოლაში 58774 პედაგოგი და დავადგინო მათი პროფესიული საჭიროება? ეს ხომ თავის მოტყუებაა. რა თქმა უნდა, სკოლამ ყველაზე კარგად იცის თავისი პედაგოგების საჭიროებებიც და მიღწევებიც. საბოლოო ჯამში კი, ნდობა შედეგებმა უნდა აჩვენოს – პროგრესს ნაეკი გაზომავს. მერწმუნეთ, ნდობით უფრო მივიღებთ შედეგს, ვიდრე კონტროლით.

ეს ჯგუფი არა მარტო მასწავლებლის პრფესიულ განვითარებაზე იზრუნებს, არამედ სასკოლო სასწავლო გეგმაზე იმუშავებს. სასწავლო პროცესის ფუნდამენტი სასკოლო სასწავლო გეგმაა, სადაც წერია, რა უნდა ვასწავლოთ, როგორ ვასწავლოთ და როგორ შევაფასოთ. როგორ ვასწავლოთ – ეს ნაწილი განსაზღვრავს თანამედროვე სასწავლო მეთოდებსა და მიდგომებს (სწავლება კეთებით, ძიებით, პროექტული სწავლებით და ა.შ.), ეს ყველაფერი კი ზუსტად კურიკულუმში უნდა ჩანდეს. ამიტომ გვჭირდება სკოლაში ისეთი ძლიერი გუნდი, რომელიც სასწავლო გეგმას ეფექტურს გახდის და ის არ იქნება პირდაპირ კოპირებული ეროვნული სასწავლო გეგმიდან.

– „მასწავლებლის რეგულირების წესის“ მიხედვით გამოცდები წელიწადში ერთხელ ჩატარდება? ექნება თუ არა კავშირი მის პროგრამებსა და ტესტებს ძველ საგამოცდო პროგრამებთან?

– დიახ, ამ ეტაპზე, ვფიქრობთ, გამოცდები წელიწადში ერთხელ ჩავატაროთ, ხოლო რაც შეეხება საგამოცდო პროგრამებს, მინისტრის ინიციატივაა და ჩვენც ვეთანხმებით ამ მოთხოვნას, რომ გამოცდა, განსაკუთრებით პროფესიულ უნარებში, იყოს პრაქტიკაზე ორიენტირებული – პრაქტიკული ელემენტების შემცველი. მაგალითად, STEM-ის საგნებში ვფიქრობთ, რომ ლაბორატორიული ცდებიც კი ჩავატარებინოთ პედაგოგებს, იქნება ეს ვირტუალური თუ რეალური. ორივე მიმართულებით გვინდა პრაქტიკული ელემენტების შეტანა, რომ სტატუსის მინიჭებისას, დარწმუნებულები ვიყოთ, მართლა იმსახურებს თუ არა ის ამ წოდებას. შეიძლება ტესტი კარგად ისეთმა ადამიანმაც ჩააბაროს, რომელიც საკლასო ოთახში არაეფექტურია. ამიტომ შევეცდებით, მისი პრაქტიკაც ვნახოთ. აქედან გამომდინარე, სრულიად ახალ საგამოცდო პროგრამას შევთავაზებთ მასწავლებლებს, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავზომოთ რამდენად ეფექტურია მასწავლებელი პრაქტიკაში.

– ისევ იზრუნებს თუ არა ცენტრი მასწავლებელთა გამოცდებისთვის მომზადებაზე? რა რესურსს შესთავაზებთ მათ?

– რა თქმა უნდა, ვიზრუნებთ იმის მიხედვით, რა ტიპის გამოცდებსაც შევთავაზებთ. პირველად ხდება, რომ ჩვენი ცენტრი და გამოცდების ეროვნული ცენტრი ერთად ვმუშაობთ ამ საკითხებზე და არა ცალ-ცალკე. ჩვენი ექსპერტები ერთად მიიღებენ მონაწილეობას საგამოცდო საკითხების შედგენაშიც.

– „მასწავლებლის რეგულირების წესი“ ყველა მოქმედი მასწავლებლისთვის იქნება სავალდებულო და თუ იქნება ვადები დადგენილი, მაგალითად პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის, რა პერიოდში უნდა განახორციელონ საფეხურებრივი წინსვლა?

– „მასწავლებლის რეგულირების წესი“ სავალდებულოა ყველა მასწავლებლისთვის და შესაბამისად, ყველა მოქმედი მასწავლებელი უნდა ჩაერთოს ამ სქემაში. ჩემი პოზიციაა (ეს არ არის საბოლოოდ შეთანხმებული), რომ ყველა მასწავლებელს ჰქონდეს მოქმედი კონტრაქტი და თუ ის ამ კონტრაქტის პირობებს ვერ დააკმაყოფილებს (რა დამსახურებაც უნდა ჰქონდეს), სკოლამ არ უნდა „შეინახოს“. კონტრაქტის მიხედვით, მასწავლებელს ექნება გამოკვეთილი უფლება-მოვალეობები და მოთხოვნები. ყველა სამსახურში ასეა და მასწავლებლის პროფესია რატომ არის გამონაკლისი? მით უფრო, როცა ის მომავალ თაობას ზრდის. როგორ შეიძლება წლები ითმინო და სკოლიდან არ გაუშვა მასწავლებელი, რომელიც საგაკვეთილო პროცესს აგდებს.

– რამდენი წლით განისაზღვრება ეს ვადები?

– მართალია, მაქვს ჩემი მოსაზრება, მაგრამ ვადების შესახებ მოგვიანებით გამოვაცხადებთ. თუმცა, გეტყვით, რომ დღევანდელი შრომის კოდექსითაც არის განსაზღვრული, თუ კონტრაქტის პირობებს ვერ აკმაყოფილებს კადრი, მისი დათხოვნა შესაძლებელია, რადგან უვადო კონტრაქტი არ არსებობს. დირექტორს ახლაც შეუძლია დაითხოვოს მასწავლებელი სამსახურიდან, თუ ის ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ვადები ახლაც წერია შრომის კოდექსში, უბრალოდ, ჩვენ მოვითხოვთ, რომ ის შეასრულონ დირექტორებმა.

– ძველი აქტივობებიდან, გარდა პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისა, კიდევ რა აქტივობები დარჩება მასწავლებლებისთვის სავალდებულოდ?

– პროფესიული განვითარება ერთ მასწავლებელს შეიძლება სჭირდება კლასის მართვაში, მეორეს – ბულინგის მიმართულებით, მესამეს კიდევ – სხვა მიმართულებით, ანუ აქტივობები საჭიროების მიხედვით დადგინდება, ყველა ადამიანს ერთნაირი საჭიროება ხომ ვერ ექნება.

რაც შეეხება კვლევას, ეს ყველა მასწავლებელმა უნდა ისწავლოს. ცივილიზებული სამყარო შეთანხმდა, რომ მასწავლებლის განვითარებისთვის ყველაზე საუკეთესო საშუალება პრაქტიკის კვლევაა. ეს არის იმ ტიპის კვლევა (არ არის ფუნდამენტური და არ გამოიყენება რთული სტატისტიკური მეთოდები), რომელიც ყველაზე კარგად ავლენს საკლასო ოთახში, მაგალითად, IX^{ბ} კლასში, ინგლისურის სწავლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. რომლის შემდეგაც პედაგოგი შეიმუშავებს ახალ მოდელს, დანერგავს კლასში და შეაფასებს განსხვავებას ძველსა და ახალს შორის. პრაქტიკის კვლევა მსოფლიოში ყველაზე ეფექტური კვლევაა, შეიძლება ითქვას (არ მინდა ვიხმარო სუსტი), მსუბუქი ტიპის კვლევა, რომლის განზოგადებაც არ შეიძლება, რადგან მოდელმა, რომელმაც IX^{ბ} კლასში იმუშავა, შეიძლება IX^{ა} კლასში არ იმუშაოს. ამიტომაც ატარებს ყველა მასწავლებელი საკუთარი პრაქტიკის კვლევას და ამით თავადაც ვითარდება პროფესიულად და მოსწავლეებსაც ეხმარება.

– იქნება თუა არა კვლევა საფეხურებრივი წინსვლისთვის აუცილებელი პირობა?

– არა, მასზე არ იქნება დამოკიდებული სტატუსის მინიჭება, ამით ჩვენ მათ უფრო გადავამზადებთ, უნარებს შევძენთ. რატომ გვინდა ყველაფრის ზომვა. თუ სასკოლო საზოგადოება გადაწყვეტს, რომ მასწავლებელი ვერ უმკლავდება დამკვირვებლებს, რაღაც პრობლემები აქვს, მას ურჩევენ, რომ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ჩაატაროს.

წინსვლისთვის რასაც მოვთხოვთ მასწავლებელს, ეს იქნება: გამოცდის ჩაბარება, საგაკვეთილო პროცესის შეფასება და სტატუსის შენარჩუნება. სტატუსის შესანარჩუნებლად კი, ვფიქრობთ, სემესტრში სამიდან ხუთ დაკვირვებამდე გაიაროს. ეს იქნება ყოველწლიური პროცესი. მასწავლებელი თვითონ მოიწვევს ჯგუფის წევრებს, რომ დააკვირდნენ და შეუფასონ ხუთი გაკვეთილი. მთავარია, მათ ქცევა გაუმყარდეთ, თორემ ინტენსიურ დაკვირვებას ისე რა აზრი აქვს. ეს იქნება თანამშრომლობა უფრო გამოცდილ პედაგოგებთან, რომ გაიუმჯობესოს პროფესიული მდგომარეობა, რჩევებს მისცემენ, რა გააკეთოს იმისთვის, რომ გახდეს უკეთესი მასწავლებელი. ჩვენი საბოლოო მიზანი ხომ ეს არის – ბავშვმა მიიღოს ხარისხიანი განათლება. იცით, რითი გახდება უკეთესი პედაგოგი? როცა ქცევას გაიმყარებს, მხოლოდ ტრენინგზე დასწრება არაფრის მომცემია. თუ იქ მიღებულ ცოდნას გაკვეთილზე არ გამოიყენებს, ფუჭად დახარჯული დრო და წყალში გადაყრილი ფული იქნება.

– იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ მასწავლებელი ვერ განვითარდა, ვერ აჩვენა პროგრესი, რა მოხდება? მის სტატუსს საფრთხე ემუქრება?

– სტატუსს ვერაფერს ვერ უზამ, ის ერთხელ მიიღო და აქვს, მაგრამ სკოლამ შეიძლება მასთან კონტრაქტი შეწყვიტოს. მთელ მსოფლიოში ასე ხდება. ამიტომ მასწავლებლების შეფა-

ინტერვიუ

სება ყოველწლიურად მოხდება, „დაკვირვება“ – ეს სიტყვა საერთოდ ამოვიღოთ, რადგან მასწავლებელს კი არ აკვირდებიან, მასთან თანამშრომლობენ გამოცდილი პედაგოგები, რომ უკეთესი გახადონ საგაკვეთილო პროცესი. შეიძლება ჯგუფის წევრმა, მის გაკვეთილზე ისეთი საინტერესო რამ აღმოაჩინოს, რომ შემდეგ თვითონ დანერგოს. ჩვენ რატომღაც გვგონია, რომ პროფესიული განვითარება დედაქალაქიდან ჩამოსული ექსპერტების მიერ გაზიარებული ცოდნა და გამოცდილებაა. მაშინ, როცა სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარება, მთელ მსოფლიოში, ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა. შეიძლება, რომელიმე სოფლის სკოლაში ისეთი კარგი მასწავლებელი აღმოჩნდეს, რომ ცენტრიდან ჩასულ ყველა ტრენერს აჯობოს. რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ის?

– ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიაში შესვლის გზები. სისტემას სჭირდება ახალი ადამიანები, ახალგაზრდა მასწავლებლები. როგორ აპირებთ მასწავლებელთა კორპუსის გაახალგაზრდავებას? გაიოლდება თუ არა არსებული რეგულაციები, რომელიც ახალგაზრდების სისტემაში შესვლას უზრუნველყოფს?

– მასწავლებლის პროფესიას, სხვა პროფესიებთან მიმართებაში, ცვლის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს, ანუ მასწავლებელი იწყებს სამსახურს და 80 წლის ასაკამდე ასწავლის. რაღაც პერიოდის განმავლობაში გაჯერდა ეს პროფესია და ახალ ადამიანებს შესვლის საშუალება აღარ მიეცათ. ბუნებრივია, როცა პროფესიაზე მოთხოვნა აღარ არის, ახალგაზრდა მოწოდებითაც რომ იყოს პედაგოგი, იმის გამო, რომ უახლოესი ათი წლის განმავლობაში დასაქმების შანსი არ აქვს, სხვა პროფესიას ირჩევს. აქედან გამომდინარე, ყოველწლიურად ვკარგავთ პერსპექტიულ ახალგაზრდებს და ვეღარ ხდება ახალი სისხლის შედინება ამ პროფესიაში. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ ასაკი ცუდ პედაგოგობას არ ნიშნავს. რატომღაც ხალხს ჰგონია, რადგან ასაკოვანია, ცუდი პედაგოგია. ბევრი 65 წლის მასწავლებელი აჯობებს 25 წლის ახალგაზრდას, რომელიც უკვე „მოხუცია პოფესიაში“ – არა აქვს ენერგია ან პროფესიული თუ საგნობრივი კომპეტენცია. უბრალოდ, 25 წლისაა. ამიტომ მისი ასაკი სულაც არ ნიშნავს, რომ კარგი პედაგოგი იქნება. დამეთანხმებით, კარგ მასწავლებელს არც ერთ ასაკში არ უჭირს კომპეტენციის დადასტურება. თუ ის 65 ან 67 წლის ასაკში გადაწყვეტს, რომ დაიღალა, მენტორად გამოვიყენოთ, შევიყვანოთ ხარისხის ჯგუფში, რომ 25 წლის მასწავლებელს მისცეს რჩევები და ნახევარსაათობრივი დატვირთვა მივცეთ, დანარჩენი დანამატი ამ საქმიანობით შევუვსოთ. ამით ახალგაზრდას მივცეთ შანსი, გახდეს კარგი მასწავლებელი. სისტემაც ამოისუნთქავს.

– ახალი წესით, ექნება თუ არა რაიმე პრივილეგია პედაგოგიკაში მაინორპროგრამაგავლილ კადრს?

– ჩვენ, დაახლოებით, ხუთ-ექვს გზას განვიხილავთ პროფესიაში შესასვლელად. გვინდა, რაც შეიძლება მეტი საშუალება მივცეთ ახალგაზრდებს, გახდნენ მასწავლებლები. აუცილებელია, გავაიოლოთ პროფესიაში შესვლა, მაგრამ გამოცდილი პედაგოგების დახმარებით, მათ პროფესიაში დარჩენაც უნდა გავუადვილოთ. ეს სერიოზული პრობლემაა მთელ მსოფლიოში. თითქმის ყველა ქვეყანაში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მასწავლებლის პროფესიას ერთი მესამედი ტოვებს პირველ წელს, მათთვის იმხელა შოკია თანამედროვე ბავშვთან ურთიერთობა. მას უნდა ტექნოლოგიებთან ურთიერთობა, კომპიუტერული თამაშებით სწავლება, სჭირდება სხვა მენტალიტეტის ადამიანებთან ურთიერთობა, მეტი თავისუფლება, პროექტებზე დაფუძნებული სწავლება, აღარ ინტერესდება ძველი მეთოდებით. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამის გაკეთებას ყველა ახალგაზრდა შეძლებს.

პროფესიაში შესვლისას, ნებისმიერ მსურველს მოუწევს საგნის კომპეტენციის დადასტურება, პროფესიულ განვითარებაზე კი, სკოლაში შესვლის შემდეგ, პარალელურად, იზრუნებს.

– მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით, ცენტრმა კიდევ ერთი ინიციატივა წამოიწყო, ქვეყნის მასშტაბით, თქვენ ეძებთ საუკეთესო მასწავლებლებს? რას მოიტანს ეს?

– მასწავლებლის პროფესია სხვა ტრადიციულ „თეთრსაყელოიან“ (ადრე ინტელექტუალურ სამსახურებს ვეძახდით) სამსახურებს შორის, ყველაზე დაბალანაზღაურებადი და დაბალპრესტიჟულია. იმისთვის, რომ ავწიოთ მასწავლებლის პროფესიის სოციალური და ეკონომიკური სტატუსი, პროფესიაში უნდა მოვიზიდოთ რაც შეიძლება მეტი მაღალი უნარების მქონე ადამიანი კონკრეტული პოპულაციიდან. მაგალითად, ადრე სატელევიზიო ეთერში ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: როცა გაიგებთ, რომ თქვენი კლასელი, რომელიც ძლივს გადაჰყავდათ კლასიდან კლასში და მერე მასწავლებელი გახდა, იმ სკოლის მიმართ, სადაც ის მუშაობს, ნდობა ეცემა. მაგრამ, თუ თქვენი კლასელი, რომელიც სკოლაში კარგად სწავლობდა და მაღალი სოციალური უნარებითაც გამოირჩეოდა, პედაგოგი გახდა, ბუნებრივია, თქვენს შვილს უფრო თამამად მიიყვანთ სკოლაში, სადაც ის ასწავლის. შესაბამისად, ამ ინსტიტუციასაც მეტად ენდობით. ამ კონკურსებით გვინდა ადამიანებს ვუთხრათ, რომ ამ პროფესიაში მუდმივად დაფასებული იქნებიან. როცა ამ პროფესიაში წარმატებულ ადამიანებზე ხშირად ვისაუბრებთ, საზოგადოებაც სხვაგვარად შეხედავს მათ – გამოარჩევს და დააფასებს. ეს პროფესიის პოპულარიზაციის ხელშეწყობის გარდა, მასწავლებლის მოტივაციასაც გაზრდის.

– რა როლი ექნება დირექტორს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში?

– დირექტორის სტანდარტზე ახლა ვმუშაობთ. დირექტორის პროფესიისადმი მიდგომა მთლიანად უნდა შეიცვალოს, ის უნდა გახდეს მაღალანაზღაურებადი და დამსახურებული სამსახური. ის უნდა წარმოჩინდეს როგორც საგანმანათლებლო პროცესის ლიდერი, რომელსაც ზოგადი მართვის საკითხებთან ერთად, კარგად შეუძლია სასწავლო სასკოლო გეგმის შედგენაც და მასწავლებლის შეფასებაც. მან კომბინაციაში უნდა შეძლოს პროცესების მართვა და სრულად გახდეს პასუხისმგებელი თავისი სკოლის განათლების ხარისხზე.

– ხომ არ იგეგემება სკოლების რეიტინგულად დალაგება?

– არა, რადგან ეს არასწორი მიდგომაა. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ უზრუნველვყოფთ ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურების ხელმისაწვდომობას მთელი ქყვენის მასშტაბით. ამიტომ იორმუღანლოს სკოლა 51-ე სკოლას რომ შეადარო, ვფიქრობ, არ არის სწორი. იორმუღანლოს სკოლა უნდა შევაფასოთ მისი პროგრესის მიხედვით – სად იყვნენ წელს და სად იქნებიან გაისად. ასევე, უნდა შევაფასოთ 51-ე სკოლა – განიცადა თუ არა პროგრესი თავის თავთან მიმართებაში.

– როგორ შევაფასოთ თქვენ მიერ შემოთავაზებული სიახლეების სისწორე და ეფექტურობა, პირველ რიგში, რაზე უნდა აისახოს ან რამდენ ხანში უნდა ვიგრძნოთ ხელშესახები შედეგები?

– ბევრგან მითქვამს და თქვენთანაც გავიმეორებ – განათლება ჰგავს ხეჭეჭურ მსხალს, ეს არის სფერო, სადაც ეფექტს ვერ მიიღებ პირველ, მეორე ან მესამე წელს, ის ხანგრძლივ დროს მოითხოვს. ერთადერთი, რაც ახალი სკოლის პროექტში სწრაფად გახდა თვალსაჩინო, არის ის, რომ მასწავლებლების მოტივაცია გაიზარდა და ბავშვები გაკვეთილებზე ხალისიანები გახდნენ. მშობლები ხედავენ გაღიმებულ და ბედნიერ შვილებს, პროექტებზე მომუშავეთ და საგანმანათლებლო პროცესში დაკავებულებს და არა დაზეპირებაზე და ნიშნის მიღებაზე ორიენტირებულებს.

მაღალსააზროვნო უნარებზე სწორედ მაშინ გადის ბავშვი, როცა მეტი თავისუფლება აქვს. შეუძლებელია, დათრგუნულმა ბავშვმა ეს შეძლოს. როცა მოსწავლე მომღიმარ და მოტივირებულ მასწავლებელს ხედავს, როცა თანაკლასელებთან გუნდურად მუშაობს, მთელი დღის განმავლობაში თანაკლასელებთან სოციალურ ურთიერთობაშია, მისთვის სასწავლო პროცესი ისე სწრაფად და სასიამოვნოდ მიდის, რომ ვერც იგებს. 21-ე საუკუნის მოქალაქეც ხომ სწორედ ასეთია – კრეატიული და მოაზროვნე, რომელსაც შეუძლია კვლევით და კეთებით ისწავლოს, იმიტომ რომ ჩვენი ცხოვრებაც კვლევა და კეთებაა. ჩვენ კი, არც კვლევას გვასწავლიდნენ სკოლაში და არც კეთებას. ორიენტირი ახლა ამაზეა – სწავლა კეთებით და სწავლა ძიებით.

– როგორ წარმოგიდგენიათ ის თანამედროვე მასწავლებელი, რომლისთვისაც თქვენ ამ ცვლილებებს ახორციელებთ?

– თანამედროვე მასწავლებელი არის ფასილიტატორი, რომელსაც შეუძლია მოსწავლეებთან საინტერესო გაკვეთილის ჩატარება სწავლების თანამედროვე მეთოდებით, რომელიც საინტერესო პროექტებით დაინტერესებს მოსწავლეებს და შეძლებს მათ მაქსიმალურად ჩართვას პროცესში. აი, ასეთია ჩემი თვალთახედვით თანამედროვე მასწავლებელი.

– მთავარი გზავნილი თქვენგან მასწავლებლებს

– პროფესიაში მყოფმა ადამიანებმა და ჩვენ, ვინც სისტემაში ვართ, ყველამ ერთად უნდა დავიბრუნოთ ღირსება და ვაჩვენოთ საზოგადოებას, რომ მასწავლებლობა არ არის დაბალანაზღაურებადი პროფესია, რომ ჩვენ ვართ ქვეყანაში ყველაზე საჭირო პროფესიის წარმომადგენლები და რომ მასწავლებელზეა დამოკიდებული ამ ქვეყნის მომავალი. პირველ რიგში, თავად უნდა დააფასო საკუთარი თავი, რომ სხვამაც დაგაფასოს.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

საერთაშორისო ფორუმი

საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით, დაიწყო მასშტაბური პროექტი „საქართველო, ევროპა“. მისი მიზანია საქართველოს, როგორც უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ევროპული ქვეყნის პოლიტიკური იმიჯის ამაღლება, ევროინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა – საქართველოს, როგორც სანდო და ძლიერი პარტნიორის პოზიციონირება საერთაშორისო ასპარეზზე. პროექტი დაიწყო ორდღიანი საერთაშორისო ფორუმით – „კულტურათა კავშირი – საქართველოსა და ევროპის შემოქმედებითი მომავლის განვითარება“, რომელიც გახსნეს: საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **მამუკა ბახტაძემ**, პრეზიდენტმა, **სალომე ზურაბიშვილმა**, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ბატიაშვილმა**, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, **კარლ ჰარცელმა** და UNESCO-ს მშვიდობის არტისტმა, **ელისო ბოლქვაძემ**.

მიხეილ ბატიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ რამდენიმე კვირის წინ, საქართველოს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის გზაზე, უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადაიდგა – ENQA-მ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება მისი წევრი. *„ვფიქრობთ, ეს უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ისევე, როგორც ფორუმი, რომელიც მხოლოდ დასაწყისია იმ დიალოგის საქართველოსა და ევროპას შორის, რომელიც ყოველწლიურად გაგრძელდება და გაფართოვდება. საქართველო ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ერთიან ევროპულ ოჯახში,* – განაცხადა მინისტრმა, – *ეს ჩვენი ხალხის ურყევი ნებაა, ჩვენი სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი თუ ინტელექტუალური ცხოვრების ყველა სფეროში. საუკუნეების განმავლობაში ჩვენ ვიყავით არა მხოლოდ ნაწილი, არამედ ევროპული ღირებულებების, კულტურისა და ისტორიის შექმნის აქტიური თანამონაწილე. ყველაზე უკეთ ეს ჩვენს თვითმყოფად, ევროპულ, უძველეს კულტურასა და ტრადიციებში ჩანს.“*

მინისტრმა ყურადღება გაამახვილა ევროპელ მეგობრებთან, კოლეგებთან და პარტნიორებთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე და დასძინა, რომ სწორედ ამ თანამშრომლობის გაღრმავებას ემსახურება, სამინისტროს ინიციატივით და საქართველიოს მთავრობის მხარდაჭერით, ორგანიზებული პროექტი „საქართველო, ევროპა“.

პრემიერ-მინისტრმა, **მამუკა ბახტაძემ** აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყანას უძველესი ისტორია აქვს და სწორედ ეს განაპირობებს მის განსაკუთრებულობას. *„სრულიად განსაკუთრებულია ჩვენი გეოგრაფიაც, ევროპისა და აზიის შესართავზე, საქართველო საუკუნეების განმავლობაში თამაშობდა ერთგვარი ხიდის როლს. ნებისმიერი ჩვენი სტუმრისთვის, პირველივე შეხედვით, თვალსაჩინო და ნათელია ქართული კულტურის იდენტობა ევროპულ კულტურასთან, რადგან ჩვენ საერთო საყრდენი, საერთო კულტურული ფასეულობები და ღირებულებათა სისტემა გვაერთიანებს. მე ყოველთვის აღვნიშნავ, რომ ქართველი ერის არჩევანი, გახდეს ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი, არ გახლავთ მხოლოდ პოლიტიკური არჩევანი, ეს ცივილიზაციური არჩევანია, სწორედ ამ მიზეზის გამო“.*

პრემიერ-მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ ამ ფორუმით დაიწყება დიალოგების სერია, რომელიც შეკრებს სხვადასხვა ევროპულ კულტურას და ევროპულ კულტურათა მრავალფეროვნებაში წარმოაჩენს ქართული ევროპული კულტურის როლს. *„ჩვენ ვართ ევროპული კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილი და, ბუნებრივია, ამის შესახებ მეტი საუბარი და მეტი აქტიურობაა საჭირო. დარწმუნებული ვარ, ეს ფორუმი ამ ფილოსოფიის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.“*

მამუკა ბახტაძემ, 2018 წელს, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს საპატიო სტუმარობაზე საუბრისას, აღნიშნა, რომ უკვე წლებია, ქართველი მწერლები აქტიურად მონაწილეობენ მრავალ საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე, მათ შორის, ლონდონსა და ლაიფციგში – ეროვნული პავილიონით, აგრეთვე, ვენეციის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე; ყოველწლიურად იმართება თანამედროვე ქართული ფილმის ჩვენებები კანის, ბერლინის, ლოკარნოს, სან სებასტიანისა და სხვა მნიშვნელოვან ფესტივალებზე. *„განსაკუთრებული სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ საქართველო, 2022 წელს, უმასპინძლებს ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების ფორუმს. ამავე წელს, საქართველო, საპატიო სტუმრის სტატუსით, წარდგება პარიზის წიგნის ბაზრობაზე. ჩვენ განსაკუთრებით გვახარებს ჩვენი მოქალაქეების, მათ შორის, ჩვენი ემიგრანტების მიღწევები საზღვარგარეთ. ჩვენმა ხელოვანებმა უკვე დაიმკვიდრეს გამორჩეული ადგილი მსოფლიოს სახელოვნებო სივრცეში, დიდი პოპულარობით სარგებლობენ ოპერის, ბალეტის, სახვითი თუ საშემსრულებლო ხელოვნების წარმომადგებლები. საქართველო, ამავე დროს, პირველი ქვეყანაა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან, რომელიც, 2015 წლიდან, შემოქმედებითი ევროპის პროგრამაში გაერთიანდა. საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს ფესტივალების, კულტურული ტურიზმის და შემოქმედებითი ეკონომიკის გასავითარებლად. ჩვენი უპირველესი ამოცანაა, საერთაშორისო მასშტაბით, საქართველოს ცნობადობის ამაღლება, კულტურათშორისი დიალოგის გაღრმავება, ქვეყნის ევროპის და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. საქართველო ევროპული კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილია. ის მუდამ იყო, არის და იქნება ამ სივრცის ორგანული და ჰარმონიული შემადგენელი ნაწილი.“* – ამ სიტყვებით დაასრულა გამოსვლა პრემიერ-მინისტრმა.

ფორუმი მიჰყავდა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველ მოადგილეს, **მიხეილ გიორგაძეს**: *„ყურადღებას თუ მიაქცევთ ამ ლოგოს – საქართველო, ევროპა – მძიმე არ არის უბრალოდ სიტყვათა მიმდევრობის აღმნიშვნელი, ეს მინიშნებაა დამისამართებაზე – საქართველო, ევროპა, როგორც – თბილისი, საქართველო. ჩვენი კონცეფციით, ეს არის კუთვნილების აღმნიშვნელი მინიშნება და ამ პროგრამის არსი და მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ კულტურის, როგორც ინსტრუმენტის გამოყენებით, მეტი საქართველო წარმოვადგინოთ ევროპაში, მეტად ავამაღლოთ ცნობადობა საქართველოს შესახებ, დავამკვიდროთ საქართველოს პოზიტიური პოლიტიკური იმიჯი, როგორც ძლიერი და საიმედო პარტნიორის იმიჯი და პირიქით, ევროპა, მისი კულტურა, ფასეულობები გავაცნოთ საქართველოში ფართო საზოგადოებას, ისევ და ისევ, კულტურის, სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებების მეშვეობით. ჩვენი პროგრამის მთავარი სლოგანი გახლავთ: „მეტი ევროპა, მეტი კულტურა, მეტი საქართველო“.*

ფორუმში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის კულტურის მინისტრები და სამინისტროების წარმომადგენლები, ასევე ევროპის წამყვანი ექსპერტები, ხელოვანები, ადგილობრივი და საერთაშორისო კულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

პანელ-დისკუსიების ფორმატში, ქართველმა და საერთაშორისო მომხსენებლებმა, ფორუმის პირველ დღეს, ისაუბრეს კულტურაზე, როგორც საერთაშორისო მასშტაბით პოზიტიური ცვლილებების განხორციელების ინსტრუმენტზე, კულტურის როლზე ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ჭრილში, ევროპელ პარტნიორებთან თანამშრომლობით ქვეყნის კულტურის განვითარების გზებსა და სხვა საკითხებზე.

საინტერესო იყო ევროპის საბჭოს გამოფენა „აღმოაჩინე მრავალფეროვნება, აღმოაჩინე ისტორია“ – ევროპელი მოგზაურებისა და მკვლევარების ჩანაწერების ფოტოსერიები საქართველოს მრავალფეროვნების შესახებ. სხვადასხვა ვორქშოფებზე ევროპის წამყვანი ექსპერტები ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას უზიარებდნენ.

პროგრამის ინიციატორები იმედოვნებენ, რომ ფორუმი გახდება ტრადიციული, ყოველწლიური.

სამოქალაქო გაკვეთილი

Հիմնախնդիրները հասարակության մեջ

გაკვეთილის გეგმა

T-45

სკოლა	სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ დარაქოვის საჯარო
მასწავლებელი	**გოჰარ განდილიანი**
საგანი	სამოქალაქო განათლება
სწავლების საფეხური	მე-10 კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა	8 მოსწავლე (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე კლასში არ არის)
თემა	პრობლემები საზოგადოებაში, დამოკიდებულება პრობლემების მიმართ

Դասապլան

Ուսուցիչ	Գոհար Ղանդիլյան
Առարկա	Քաղաքացիական կրթություն
Դասի անցկացման ամսաթիվ	05.03.2019թ
Դասաժամի տևողությունը	45րոպե
Դասարան	10-րդ դասարան
Աշակերտների քանակը	6 աշակերտ (դասարանում հատուկ կրթական կարիք ունեցող աշակերտներ չկան)
Թեմա	Հիմնախնդիրները հասարակության մեջ, վերաբերմունքը հիմնախնդիրների նկատմամբ:
Նպատակ/ կարողություն/ վերաբերմունք	Աշակերտներին մտորել տալ իրենց շուրջն առկա հիմնախնդիրների, մարդկանց անտարբերության և դրա հետևանքների, կարեկցանքի, նախաձեռնության և գործողության մասին: Աշակերտները կկարողանան առանձնացնել/տարբերակել հիմնախնդիրները: Աշակերտի մոտ պետք է ձևավորվի բացասական վերաբերմունք մարդու նտարբերության/պասիվության վերաբերյալ, երբ առկա հիմնախնդիրներն անտեսվում և անուշադրության են մատնվում:
Ազգային ուսումնական պլան	Քաղ.X.6. «Աշակերտը կարող է վերլուծել բազմերանգ հասարակությունում արդարացի հարաբերություններ ապահովելու միջոցները»:
Ռեսուրս	Քաղաքացիական կրթության դասագիրք («Համագործակցություն հասարակական շահերի համար»), տետր, գրիչ, գունավոր մատիտ, գրատախտակ, գունավոր կավիճ:

Դասի ընթացքը

Բարևել, կատարել հաշվառում,
տալ մոտիվացիոն/ակտիվացնող հարցեր:

Ակտիվություն	Մեթոդաբանություն	Ժամանակ
1 Տնային առաջադրանքի քննարկում	Անհատական ներկայացում	10րոպե
2 Հիմնախնդիրների դասակարգում օղակներով(Գլոբալ, օտար երկիր, գյուղ/քաղաք, դպրոց, ընտանիք և ես): Սա հնարավորություն կտա տարբերակելու առկա հիմնախնդիրները:	Ընդհանուրով քննարկում Հարց-պատասխան	7րոպե
3 Առաջադրանքի կատարում 1 3 (սա հնարավորություն կտա հեռանալ իրենց շուրջն առկա հիմնախնդիրներից և մտորել տարբեր ժամանակների և տարբեր ժողովրդների հիմնախնդիրների մասին: Շնորհանդեսի պատրաստում և ներկայացում:	Խմբային աշխատանք(2խումբ)	20րոպե
4 Տնային առաջադրանքի հանձնարարում/Առաջադրանք 1 4 (առաջադրանքը իրենից ներկայացնում է կարիքավորներին օգնելու համար կայացրած անսպասելի որոշումներն և հաջորդական գործողությունների դրական արդյունքը: Աշակերտներից պահանջվում է վերլուծություն: Առաջադրանքի վրա աշխատելու համար աշակերտներին տրվում է 2տեքստ՝ «Ալբերտ Շվայցերի որոշումը» և «Կրեգ Կյելբյուրգերի որոշումը»:)	Առաջադրանքը տրվում է առանձին աշակերտներին, ովքեր աշխատել էին նախորդ առաջադրանքի ժամանակ «Ալբերտ Շվայցերի» և «Պակիստանցի տղայի պատմության» վրա:	6րոպե
Գնահատում	Խրախուսանք/քաջալերում խմբերին:	2րոպե

Գոհար Ղանդիլյան
Վրաստանի հանրապետության
Ծալկայի մունիցիպալիտետի
Դարագյուղի հանրային դպրոց

ინფორმაცია

ცვლილება, რომელიც დირექტორის მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნა-არჩევას, უფლებამოსილების შეწყვეტასა და ანაზღაურების ნაწილს შეეხო

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებაში ცვლილებები შევიდა. კერძოდ, ცვლილებები შეეხო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის ან არჩევის საკითხებს, მოქმედი დირექტორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას და ანაზღაურების ნაწილს.

ბრძანების თანახმად, სამეურვეო საბჭოს მიერ, საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის წესის შესაბამისად, დირექტორის არარჩევის/ვერარჩევის შემთხვევაში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უფლებამოსილია, 6 წლის ვადით, დანიშნოს დირექტორი, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

დირექტორი/დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს დირექტორის იმ მოადგილეს (ხოლო დირექტორის მოადგილის თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში – სკოლის იმ თანამშრომელს), რომელიც დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, შეასრულებს დირექტორის მოვალეობას. ამ მონაცემს, სარეგისტრაციოდ, უგზავნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.

დირექტორისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის ან დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების 60 სასწავლო დღის განმავლობაში განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი უფლებამოსილია, დანიშნოს/ გაათავისუფლოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

ბრძანებაში 4 ახალი პუნქტი გაჩნდა

1. დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების 60 სასწავლო დღის განმავლობაში განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ან დირექტორის არჩევამდე/დანიშვნამდე, დირექტორის მოვალეობას ასრულებს ზემოთ ნახსენები, მართვის სისტემაში რეგისტრირებული პირი.
2. დირექტორისათვის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის ან დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების 60 სასწავლო დღის განმავლობაში განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, მართვის სისტემაში რეგისტრირებული პირი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად ნიშნავს სკოლის იმ თანამშრომელს, რომელიც მის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის/უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, შეასრულებს დირექტორის მოვალეობას. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი პირი ერთ თვეზე მეტი ვადით ასრულებს დირექტორის მოვალეობას, საჭიროა მართვის სისტემაში რეგისტრაცია, რაც არ იწვევს ამავე სკოლაში წინა რეგისტრაციის ავტომატურად შეწყვეტას.
3. დანიშნული პირის, რომელიც დირექტორის მოვალეობას ასრულებს, შრომის ანაზღაურება განისაზღვრება დირექტორის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.
4. დირექტორის არჩევა ან დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა იწვევს დირექტორის მოადგილის/მოადგილეების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას.

არსებული მდგომარეობით, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, დღეს, ბევრ სკოლას ჰყავს. არის სკოლები, სადაც დანიშნულია დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ან, წლების განმავლობაში, სკოლას, შიდა ბრძანებით, ყოფილი დირექტორის მოადგილეები მართავენ. თუმცა, ისინი მხოლოდ მოადგილის ანაზღაურებას იღებდნენ, მათი ფუნქციები და პასუხისმგებლობა კი გაცილებით დიდია. *„ჩვენ გვაქვს სკოლები, რომელშიც სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეული დირექტორები არიან (მათ უფლებამოსილება 2020 წელს ეწურებათ და თავიდან მოუწევთ ამ პროცედურის გავლა) და არის სკოლები, სადაც დირექტორის მოვალეობის შემსრულებლები არიან. რამდენიმე შემთხვევაში, შიდა ბრძანების საფუძველზე, სკოლის წარდგინებით, დირექტორის მოვალეობას ასრულებს მასწავლებელი, მოადგილე ან რომელიმე თანამშრომელი. გვქონდა, ასევე, შემთხვევები, როცა კონკრეტულ სკოლას კანდიდატურა საერთოდ არ ჰყავდა წარმოდგენილი და იქ, კონკრეტულ კონკურსამდე, მოვალეობას მივლენილი პირი ასრულებს, ვიდრე არ გამოჩნდება სხვა შიდა რესურსი. არიან მასწავლებლებიც, რომლებიც დირექტორის მოვალეობას ასრულებენ, ძირითადად, ძალიან მცირეკონტინგენტიან სკოლებში.“* – ამბობს **ირინა აბულაძე**.

ცვლილების თანახმად, დანიშნულ პირს, რომელიც დირექტორის მოვალეობას შეასრულებს, შრომის ანაზღაურება დირექტორის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად განესაზღვრება. მინისტრის ბრძანება, 2019 წლის 23 აპრილიდან, ძალაშია და მასში ვკითხულობთ, რომ: ***„ამ ბრძანების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს წესი გავრცელდეს ამ ბრძანების ამოქმედების დღისათვის მოქმედ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლებზე და შრომის ანაზღაურება, ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით, განხორციელდეს ბრძანების ამოქმედების დღიდან“.***

დირექტორთა სერტიფიცირების ახალ ტალღას მინისტრის მოადგილე შემოდგომაზე აანონსებს: *„სერტიფიცირების გავლის მსურველი ძალიან ბევრია, რადგან ამის გარეშე ვერ მონაწილეობენ კონკურსებში. 2020 წელს უკვე კონკურსები იმ სკოლებშიც გვექნება, სადაც არჩეული დირექტორები არიან, იმიტომ რომ უფლებამოსილების ვადა ეწურებათ კანონმდებლობის ფარგლებში“.*

ლალი ჯელაძე

სწავლების მეთოდი

სურათის აღწერა

სტატიაში მინდა გავამახვილო ყურადღება სურათის აღწერაზე, როგორც წერითი მუშაობის, ასევე ზეპირმეტყველების უნარების განვითარების ერთ-ერთ სახეზე. უნდა აღინიშნოს, რომ სურათის აღწერას – ამ ეფექტურ წერით სამუშაოს, მასწავლებლები ხშირად არ მიმართავენ.

სასაუბრო სურათებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირველი კლასიდან – წინასაანბანო პერიოდში. ამ დროს სურათის აღწერა მოსწავლეთა მეტყველებისა და დამოუკიდებელი ლოგიკური აზროვნების განვითარების ერთ-ერთი საშუალებაა. პირველკლასელს სწავლის დაწყება ახალ სოციალურ და სასკოლო ამოცანებს უყენებს. აქედან გამომდინარე, თემებიც შესაბამისად უნდა იყოს შერჩეული. ცხადია, პირველ კლასში მოსწავლეებს აღსაწერად მიეცემათ მარტივსიუჟეტიანი სურათი, რომელზედაც ერთი რომელიმე საგნის ერთი მოქმედება ან მდგომარეობა იქნება გამოხატული.

თუ ბავშვს დავავალებთ აღწეროს ტყე ან ქუჩა, რასაც ის ხედავს, ბავშვი ამას ვერ მოახერხებს – დაიბნევა მრავალ დეტალში, ვერ გამოყოფს არსებითს – მთავარს.

სურათის აღწერისას, პრინციპად უნდა ავიღოთ – მთელიდან დეტალისაკენ დაკვირვება. ჯერ უნდა განისაზღვროს ნახატის თემა – უნდა შევაჩვიოთ სურათზე ყურადღებით დაკვირვებას, რათა შეამჩნიონ სწორედ ის, რაც მის ძირითად შინაარსს წარმოადგენს. მასწავლებელმა, სასურველია, ყურადღება გაამახვილებინოს დეტალებზე, შემდეგი თანმიმდევრობით: პერსონაჟზე, მოქმედებაზე, გარემოებაზე, საგნებსა და სივრცით მიმართებებზე. ცენტრალური ნახატის ირგვლივ განლაგებული საგნები კლასიფიკაციის და სივრცითი მიმართებების ამოცანას ემსახურება – რომელი საგანი რომლის წინ, რომლის ზევით, რომლის ქვევით, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ მდებარეობს.

მასწავლებელს შეუძლია დასვას დამხმარე კითხვები:

– სად არის ბიჭი – მაგიდის წინ თუ მაგიდის უკან?

– სად დევს ბურთი – მაგიდის წინ თუ მაგიდის ქვეშ?

– რა ხატია რვეულის ქვევით და ზევით? და ა.შ.

შემდეგ შეიძლება შევურჩიოთ კომპოზიციური ხასიათის სურათებიც. ამ ეტაპზე, სურათები გამოიყენება არა მხოლოდ ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად, არამედ თხრობის უნარის გამოსამუშავებლადაც.

პრაქტიკიდან გამომდინარე, წერილობითი აღწერისათვის, პირველ კლასში, მარტივი შინაარსის მქონე სურათების გამოყენება ნამდვილად შესაძლებელია. სურათი თვალსაჩინოდ უნდა გამოიკრას ან მოთავსდეს თითოეული ბავშვის მერხზე. სურათი საგნის ერთ მოქმედებას ან მდგომარეობას უნდა გამოხატავდეს. მოსწავლეებს უნდა დავავალოთ, დაწერონ რას ხედავენ სურათზე. ბავშვები დაწერენ: „ბავშვები ეზოში ბურთს თამაშობენ“, „ბავშვები ნაძვის ხეს რთავენ“, „ბიჭები სკოლაში მიდიან“, ბავშვები ბუშტებს უშვებენ“, „ბიჭი ხატავს“, „გოგონა წერს“.

II-IV კლასებში მოსწავლეებს აღსაწერად შეიძლება მივცეთ უფრო რთული სურათი, რომელზედაც რამდენიმე საგანი და მათი სხვადასხვაგვარი მოქმედებაა (მაგრამ, რა თქმა უნდა, შინაარსობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული).

III-IV კლასებში მოსწავლეებს, ასევე, აღსაწერად შეიძლება მივცეთ სამ-ოთხ ეპიზოდად წარმოდგენილი სურათების სერია. ყოველი შემდგომი სურათი წინა სერიის შინაარსის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს.მაგ: მოსწავლეთა მონაწილეობით შევარჩევთ საერთო სათაურს. დავავალებთ მოსწავლეებს, შეადგინონ მოთხრობა სურათების მიხედვით. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა სურათზე გამოხატული შინაარსის სწორი და ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემა შეძლონ, შევადგენინოთ შინაარსის გადმოსაცემი გეგმა. გეგმა, შესაძლებელია, შეადგინონ ჯგუფურად. შემდეგ კი, გეგმის მიხედვით, დაწერონ ინდივიდუალურად მოთხრობა. სასურველია, გამოიყენონ მხატვრული სიტყვები, პერსონაჟებს დაარქვან სახელები და ა.შ. გეგმა დაეხმარებათ შინაარსის მოკლედ, დალაგებულად გადმოცემაში, მნიშვნელოვანი საკითხების წინა პლანზე წამოწევასა და მათზე ყურადღების გამახვილებაში.

სურათის აღწერა ხელს უწყობს მოსწავლეთა ლოგიკური აზროვნების განვითარებას, მათი შემოქმედებითი ფანტაზიისა და წარმოსახვის, აზრის გასაგებად გამოხატვის, წინადადებების სწორად და გასაგებად შედგენის უნარების განვითარებას.

სასურველია, შესაბამისი სირთულის სურათების აღწერის მიზნით, დაწყებით კლასებში, წერითი მუშაობა ხშირად ეწყობოდეს.

ირინა ნადირაშვილი
თბილისის №83 საჯარო სკოლის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. http://logomedi.ge/exercises.php?eip=4:
2. ნ. მაღლაკელიძე, „ქართული ენის სწავლების მეთოდიკა/დიდაქტიკა (I-IV კლასები)“.

ნინო კაპერსკი
ინგლისური ენის პედაგოგი

ინკლუზიური განათლება

რჩევები მასწავლებლებს, რომლებიც პირველად ასწავლიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს

მოცემული სტატიით მსურს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა (შემდგომში – სსსმ მოსწავლე) ხუთწლიანი სწავლების შედეგად მიღებული გამოცდილების გაზიარება.

თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების/საჭიროებების გათვალისწინება და სასწავლო პროცესში მათი თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა მარტივი არ არის. ეს პროცესი მოითხოვს განსხვავებულ მოსწავლეებთან განსხვავებული სტრატეგიებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით, აქტივობებით, რესურსებით მუშაობას. ამ რთულ და, ამავდროულად, სასიამოვნო გზაზე დაგჭირდებათ მოთმინების და შეუპოვრობის უნარი.

კლასში სსსმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში, პირველი, რაც უნდა გააკეთოთ, არის მოსწავლის სამედიცინო დიაგნოზის და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის (შემდგომში – მულტიდისციპლინური გუნდი) შეფასების გაცნობა. სამედიცინო დიაგნოზის საშუალებით, მიიღებთ ინფორმაციას მოსწავლის დარღვევის/დარღვევების შესახებ. ხოლო მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებით, გაიგებთ ინფორმაციას მოსწავლის ინტერესების/მიდრეკილებების, საგანმანათლებო გამოცდილების, მოტორული, კოგნიტური, ფსიქოემოციური, აკადემიური, კომუნიკაციური, სოციალური, ქცევითი და ფუნქციური უნარების შესახებ. ყოველივე ეს დაგეხმარებათ სსსმ მოსწავლისათვის შესაბამისი სწავლების სტრატეგიების დაგეგმვაში.

მოსწავლის უნარების შეფასების, სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენის შემდეგ ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა (შემდგომში – ისგ), რომელშიც განსაზღვრული იქნება მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო მიზნები, მისი შესაძლებლობებიდან, საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე.

შემდეგი ეტაპია აქტივობების მომზადება, რომლებიც აუცილებელია ისგ-ით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. იქიდან გამომდინარე, რომ სსსმ მოსწავლეების სწავლება ხორციელდება იმავე სახელმძღვანელოებით, რითაც ნებისმიერ სხვა სკოლაში ასწავლიან, თქვენ თავად მოგიწევთ მოსწავლისათვის სახელმძღვანელოების მაქსიმალურად გამარტივება და განსხვავებული სირთულისა თუ შინაარსის დავალებების მომზადება.

აქტივობები ცვალეთ ყოველ 5-10 წუთში. მოსწავლეებს სჭირდებათ ნაირსახეობა, რადგან მათ მალე სწყინდებათ და არ შეუძლიათ დიდხანს ყურადღების კონცენტრაცია ერთსა და იმავე აქტივობაზე. დავალების ინსტრუქციის ახსნა უნდა მოხდეს თანმიმდევრულად და მათთვის გასაგებ ენაზე. სსსმ მოსწავლეებს სჭირდებათ მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაფერისი დავალებები, რომლებიც გამოიწვევენ მათში წარმატების შეგრძნებას.

მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებზე ვაკეთებ კომენტარს, რომელიც მეხმარება შემდეგი გაკვეთილის აქტივობების მომზადებაში. ქვემოთ ნაჩვენებია მოსწავლის მიერ ერთ გაკვეთილზე შესრულებული დავალებები (იხ. სურათი №1, 2, 4). პირველი დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს კითხვაზე – How is the weather? – პასუხის გაცემა. კომენტარიდან გამომდინარე, მოსწავლე იმეორებს ჩემ მიერ წარმოთქმულ წინადადებას: It is sunny. რაც იმას გულისხმობს, რომ მოსწავლესთან დასახული მიზანი ჯერ მიღწეული არ არის და შემდეგ გაკვეთილზე კვლავ მჭირდება განსხვავებული აქტივობის (იხ. სურათი №2) შექმნა იმავე მიზნის მისაღწევად.



სურათი №1. პირველი დავალება



სურათი №2. მომდევნო გაკვეთილის დავალების ნიმუში

მეორე დავალებიდან (იხ. სურათი №3) გამომდინარე, შემდეგ გაკვეთილზე მოსწავლესთან ყურადღების გამახვილება მჭირდება ასოების ერთ ხაზზე განლაგებაზე, მათ შორის დაშორებასა და საკუთარი სახელის დამოუკიდებლად აწყობაზე.



სურათი №3. მეორე დავალება

მესამე დავალებიდან (იხ. სურათი №4) როგორც ჩანს, მოსწავლე ასახელებს და დამოუკიდებლად წერს მოცემულ ასოს. შესაბამისად, მომდევნო გაკვეთილზე, შემიძლია გადავიდე შემდეგი ასოს შესწავლაზე, რომელიც განსაზღვრული მაქვს ისგ-ით.



სურათი №4. მესამე დავალება

გაითვალისწინეთ, რომ საგაკვეთილო პროცესში გამოსაყენებელი ნებისმიერი ნივთი უსაფრთხო უნდა იყოს.

სიამაყით მოვიყვან ჩემი ერთი-ერთი მოსწავლის, პირობითი სახელით „ნიკას“, წინსვლის ამბავს.

ნიკა 6 წლის	ნიკა 12 წლის
ფუნქციური უნარ-ჩვევები საჭიროებს დახმარებას: • *საჭირო ოთახის გამოყენებისას;* • *ჩაცმა-გახდისას;* • *ღილების, თასმების შეკვრისას.*	**ფუნქციური უნარ-ჩვევები** დამოუკიდებლად: • *ჭამს კოვზისა და ჩანგლის გამოყენებით;* • *იცვამს, იკრავს თასმებს, ღილებს.*
აკადემიური უნარ-ჩვევები • *მეტყველება არ არის განვითარებული (ბგერები ჰგავს ღმუილს);* • *არ შეუძლია ნახატზე მიუთითოს დასახელებული ობიექტი;* • *არ შეუძლია არაფრის გამოსახვა;* • *ჯღაბნის.*	**აკადემიური უნარ-ჩვევები ინგლისურ ენაში** • ამოიცნობს და წერს ანბანის ყველა მთავრულ/არამთავრულ ასოს; • კითხულობს, წერს და თარგმნის ნასწავლ სიტყვებს – ნასწავლი სიტყვებისგან შედგენილ მარტივ წინადადებებს; • სვამს/პასუხობს კითხვებს მისთვის ნაცნობ თემატიკაზე.

სსსმ მოსწავლის განვითარებისთვის გადამწყვეტია გუნდური მიდგომა. ნიკას ასეთი წინსვლა სწორედ გუნდური მიდგომითაა განპირობებული. ამ პროცესში გექნებათ როგორც წინსვლა, ისე უკუსვლა, თუმცა, იყავით შეუპოვარი და არასოდეს არ დანებდეთ. თუ არ ამართლებს ერთი სტრატეგია, სცადეთ მეორე, მესამე და ა.შ.

საგოდელო გაკვეთილი

როგორ ჩავუყაროთ საფუძველი საინფორმაციო ტექსტებზე მუშაობას

დაწყებითი კლასებიდანვე დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ჟანრის ტექსტზე მუშაობას. მათ შორის მინდა გამოვყო საინფორმაციო ტექსტები. მათზე მუშაობა ბავშვს უვითარებს გაგების, ანალიზის, დაკვირვების, შემოქმედებითი აზროვნების, ტექსტზე აქტიური მუშაობის უნარებს; იგი გამოიმუშავებს საკუთარ დამოკიდებულებას თემის და ტექსტის მიმართ; ხელს უწყობს მომდევნო კლასებში ნებისმიერი ტიპის ტექსტთან ინტეგრაციას.

ესგ-ით საინფორმაციო ტექსტების შემოტანა მესამე კლასიდანაა რეკომენდებული, თუმცა საფუძვლის ჩაყრა მეორე კლასიდანვეა შესაძლებელი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის შერჩევას. იგი უნდა იყოს მარტივი, გასაგები. არ უნდა შეიცავდეს დიდი რაოდენობით უცხო სიტყვებს. უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის გამოცდილებას, რომ უფრო მეტად აღქმადი და გასაგები იყოს ტექსტის შინაარსი. უმჯობესია, თუ შერჩეული ტექსტი კავშირში იქნება წინა გაკვეთილებზე შესწავლილ ნარატიულ ტექსტებთან.

მინდა კოლეგებს გავუზიარო გამოცდილება და შევთავაზო გარე დაკვირვების გაკვეთილის გეგმა. შევისწავლეთ ნ. ნაკაშიძის „ჩიტის ბუდე“. მისი დამუშავების შემდეგ კი, შევიტანე მარტივი საინფორმაციო ტექსტი „ფრინველის ბუდე“. გთავაზობთ გაკვეთილის გეგმას.

გარე დაკვირვების გაკვეთილის გეგმა

მასწავლებლის სახელი გვარი: ირმა კუჭავა
საგანი: ქართული ენა
სწავლების საფეხური/კლასი: II კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა: 25 მოსწავლე
გაკვეთილის თემა: ფრინველის ბუდე
გაკვეთილის მიზანი:

- საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება;
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
- ინფორმაციის კატეგორიზაცია ნიშანთა სისტემის გამოყენებით.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები	სასწავლო რესურსები
1	მოსწავლეები კითხულობენ წინა გაკვეთილზე ახსნილ ტექსტს „ჩიტის ბუდე“. მას შემდეგ, რაც ტექსტს წაიკითხავენ, გააკეთებენ თვითშეფასებას შესაბამისი პოსტერის დახმარებით.	კითხვის მეთოდები: გაგრძელებითი, სოლო და გუნდი, უნისონი	ინდივიდუალური	განაფული კითხვის უნარის თვითშეფასების პოსტერი
2	მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს ფრინველის ბუდეს და წარადგენს ახალი მასალის თემას. მოსწავლეები საუბრობენ მხატვრულ და საინფორმაციო ტექსტებზე და ახალი ტექსტის მოსალოდნელ შინაარსზე.	თემისადმი ინტერესის სტიმულირება კითხვა-პასუხი	საერთო საკლასო	ფრინველის ბუდე
3	მოსწავლეები, არსებული ცოდნის საფუძველზე, ასახელებენ რისგან აგებს ფრინველი ბუდეს.	გონებრივი იერიში	საერთო საკლასო	დაფა, ცარცი
4	მიმდინარეობს ტექსტში არსებული სავარაუდო უცხო სიტყვების განმარტება: ერთმანეთს უკავშირებენ დაფაზე დაწერილ სიტყვებსა და მათ მნიშვნელობებს. რამდენიმე მოსწავლე დაფასთან მუშაობს, დანარჩენები კი იმავე დავალებას ინდივიდუალურად ასრულებენ.	ლექსიკური მარაგის გამდიდრება	ინდივიდუალური	დაფა, ცარცი
5	მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს დამოუკიდებლად და ახდენენ ინფორმაციის კატეგორიზაციას. წაკითხულის გაგების ხარისხის შემოწმებისთვის მასწავლებელი სვამს კითხვებს.	ტექსტის დამუშავება ნიშანთა სისტემით	ინდივიდუალური	ტექსტი ყველა მოსწავლისათვის ფანქარი
6	მეწყვილეებს ურიგდებათ ტექსტები, რომლებმაც სიტყვები „დაკარგეს“ და ბავშვები უნდა დაეხმარონ სიტყვებს „დაბრუნებაში“.	დაფიქრდი, დაწყვილდი, გაუზიარე. „დაკარგული სიტყვები“	წყვილებში	ტექსტი, ფანქარი
7	მასწავლებელი აჩვენებს ვიდეოს. შემდეგ კი დასვამს რამდენიმე შეკითხვას, რომლის საშუალებითაც დაადგენს თუ რა გაიგეს მოსწავლეებმა ნანახი ვიდეოს საშუალებით.	ვიდეომეთოდი	საერთო საკლასო	პროექტორი, ეკრანი, კომპიუტერი https://www.youtube.com/watch?v=LJ0_-bh3krU
8	მასწავლებელი ჯერ მოსწავლეებს ეკრანზე აჩვენებს განსხვავებული სტრუქტურის მქონე ფრინველთა ბუდეების ფოტოებს. შემდეგ კი ეკრანზე ჩნდება შეკითხვები. მასწავლებლის ნიშანზე მაღლა ასწევენ იმ ბარათს, რომელი პასუხიც მიიჩნიეს სწორად.	ვიდეომეთოდი	ინდივიდუალური	ფრინველთა ბუდეების ფოტოები პროექტორი, ეკრანი, კომპიუტერი ბარათები წარწერით: ა, ბ, გ.
9	ახალი მასალიდან მიღებული ინფორმაციისა და შთაბეჭდილებების საფუძველზე, მოსწავლეები თითო-თითო წინადადებით აჯამებენ გაკვეთილს. მასწავლებელიც აჯამებს გაკვეთილს და, შესაბამისი რუბრიკის საფუძველზე, აკეთებს განმავითარებელ შეფასებას. **საშინაო დავალება:** დაწერონ (პირველ პირში) ფრინველთა ნაამბობი, თუ როგორ აშენებენ ბუდეებს.	ერთწინადადებიანი რეზიუმე	საერთო საკლასო	

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

ქართ.II.3. მოსწავლეს შეუძლია აქტიური ლექსიკისა და ძირითადი ენობრივი ფორმების მეტყველებაში გამოყენება.

- აღწერს და ახასიათებს ნაცნობ საგანს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით;
- ამბის გადმოცემისას იყენებს მართებულ სიტყვაფორმებსა და მარტივ წინადადებებს;
- სათანადოდ იყენებს კავშირებს (ან, მაგრამ...).

ქართ.II.4. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი კოდის გაშიფვრა.

- ხმამაღლა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის ტექსტებს;
- თავისუფლად ამოიცნობს ნაცნობ სიტყვებს.

ქართ.II.9. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მარტივი სტრატეგიების გამოყენება.

- შემუშავებული აქვს მარტივი წესი, რომლის მიხედვით წიგნში იოლად ჩაინიშნავს ან მოძებნის კონკრეტულ ადგილს;
- ცდილობს, განმარტოს უცნობი სიტყვები კონტექსტის მიხედვით ან მიმართავს მასწავლებელს/მშობელს.

შეფასება: შეფასება ხდება შემდეგი **შეფასების რუბრიკის** საფუძველზე:

№	კრიტერიუმები	მაღალი	საშუალო	გასაუმჯობესებელი
1.	დამოუკიდებელი კითხვა და ტექსტის დამუშავება ნიშანთა სისტემით			
2.	საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება			
3.	თანამშრომლობა წყვილებში			

ერთმანეთს დაუკავშირე სიტყვები და მათი მნიშვნელობები

ფიჩხი წყალში აზელილი მიწა.
ჩალა ხის წვრილი ხმელი ტოტი.
ტალახი ხის წვრილი ტოტის ჩამონატეხი.
ჩხირი მარცვლეული მცენარის ხმელი ღერო და ფოთლები.

ტექსტი: ფრინველის ბუდე

ფრინველი კვერცხს ბუდეში დებს. ბევრი ფრინველი ბუდეს თვითონ იშენებს. ამას დიდი შრომა სჭირდება. ჯერ ბუდის ასაგებ ადგილს ირჩევს, შემდეგ კი მოაქვს საჭირო მასალა.

რა მასალით აგებს ფრინველი ბუდეს? ეს არის **ჩალა, ტალახი, ბალახი**. **შაშვი** ბუდეს ფიჩხისა და ჩალისაგან აგებს. ბუდეს შიგნიდან ტალახით ლესავს. **ბეღურა** ბუდის ასაგებად ხმელ ბალახსა და ბუმბულს იყენებს. **მერცხალი** კი ბუდეს ტალახით აშენებს. ის ჩხირებსა და ტალახის ნაწილებს ნერწყვით ამაგრებს აივნის ჭერზე. ასეთი ბუდე 2-3 წელს ძლებს. **ფეიქარა** კი ბუდეს ხის ტოტზე კიდებს.

როგორც ხედავთ, ბუდე მრავალგვარია. ყველა მათგანი საიმედოდ არის დაცული მტრისგან.

დაკარგული სიტყვები

ფრინველი ..... ბუდეში დებს. ბუდის აშენებას დიდი ..... სჭირდება. ..... ბუდეს ფიჩხისა და ჩალისაგან აგებს. მერცხალი კი ბუდეს ..... აშენებს. ..... ბუდეს ხის ტოტზე კიდებს.

სწრაფი ქვიზი

რას აკეთებს ჩიტი, სანამ ბუდის ასაგებ მასალას მოიტანს?
ა. ბარტყებს ჩეკს.
ბ. ჯერ ბუდის ასაგებ ადგილს ირჩევს.
გ. სხვის ბუდეს ეძებს.

რაზეა საუბარი ტექსტის მეორე აბზაცში?
ა. რა მასალისგან აგებენ ჩიტები ბუდეს?
ბ. სად ეძებს ფრინველი მასალას ბუდისთვის?
გ. რა დრო სჭირდება ფრინველს ბუდის ასაგებად?

რა მასალისაგან აგებს შაშვი ბუდეს?
ა. ჩალისაგან.
ბ. ფიჩხისა და ჩალისაგან, რომელსაც ტალახით ლესავს.
გ. ფიჩხისაგან.

სად აგებს მერცხალი ბუდეს?
ა. ხის ტოტზე კიდებს.
ბ. ბუჩქებში.
გ. აივნის ჭერზე.

რას ნიშნავს სიტყვა ს ა ი მ ე დ ო ?
ა. სანდო. **ბ.** საუკეთესო. **გ.** საშიში.

რეფლექსია

რამდენად მივაღწიე დაგეგმილი გაკვეთილის მიზანს?

დაგეგმილმა აქტივობებმა სათანადოდ იმუშავა. აქტივობები და მოსწავლეთა ორგანიზების ფორმები შესაბამისობაში იყო და იძლეოდა მიზნის მიღწევის საშუალებას. ყოველი აქტივობის დასრულების შემდეგ, ვაძლევდი სათანადო უკუკავშირს. შედეგები შეესაბამებოდა წინასწარ განსაზღვრულ მიზნებს. ჩემს მიზანს წარმოადგენდა, გაკვეთილი ყოფილიყო საინტერესო, შთამბეჭდავი და აღქმადი. მიზანს ნამდვილად მივაღწიე, რადგან მიმდინარეობდა მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობითა და მოტივაციის მაღალი ხარისხით. ზემოთ აღნიშნულს იმანაც შეუწყო ხელი, რომ მიზანი იყო კონკრეტული, რეალისტური და განსაზღვრულ დროში მიღწევადი.

მეთოდებისა და აქტივობების შერჩევისას, წინასწარ განვსაზღვრე: რამდენად დამეხმარებოდა ისინი დასახული მიზნისა და შედეგების მიღწევაში; გავითვალისწინე, აგრეთვე, მეთოდების მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან და შესაძლებლობებთან შესაბამისობაც.

აქტივობები განლაგებული იყო აღმავალი გზით – მარტივიდან რთულისკენ და ლოგიკურად ებმოდნენ ერთმანეთს, რაც მოსწავლეებს თემისა და მასალის უკეთ გააზრებაში დაეხმარა. ამიტომაც მივიჩნევ მათ ძლიერ მხარედ, რამაც უზრუნველყო დასახული მიზნების შესაბამისი შედეგი.

ეფექტურად იქნა გამოყენებული რესურსებიც (პოსტერები, პლაკატები, ფოტო და ვიდეომასალა, ფრინველთა ბუდეები), რაც განაპირობა ჩართულობის მაღალი ხარისხი, მოტივაციის შენარჩუნება სასწავლო პროცესის ბოლომდე და სასურველი შედეგის მიღწევა; გაკვეთილი იყო მოქნილი და დინამიური.

ფიზიკური გარემო სრულ შესაბამისობაში იყო საკლასო ორგანიზაციის ფორმასთან; ჩემ მიერ გამოყენებული ლექსიკა მორგებული იყო მოსწავლეთა ასაკზე.

მოსწავლეები ითვალისწინებდნენ ქცევის წესებს და ცდილობდნენ დროის ეფექტურად გამოყენებას; სწორად იყენებდნენ აკადემიურ ტერმინებს; დასმული კითხვები, ძირითადად, გათვლილი იყო მაღალ სააზროვნო უნარებზე; ინსტრუქციებს ვაწვდიდი ლაკონურად და გასაგებად; ყოველი ინსტრუქციის მიცემის წინ ვამოწმებდი, მისმენდნენ თუ არა ყურადღებით; ვიყავი აქტიური მსმენელი; სიტუაციის შესაბამისად ვიყენებდი ჟესტიკულაციას, მიმიკას, ხმის ტემბრის ცვალებადობას. აღნიშნული მეხმარებოდა ჩემსა და მოსწავლეებს შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარებაში; სასწავლო პროცესი ინტერაქტიული იყო.

ირმა კუჭავა
ჩოხატაურის ნ. მარის სახელობის №1 საჯარო სკოლის
დაწყებითი კლასების წამყვანი პედაგოგი

სასკოლო აქტივობა

პროექტით სწავლება

19 აპრილს დასრულდა სსიპ მესტიის №3 საჯარო სკოლის მიერ ინიცირებული პროექტი ქიმიაში „რთულ ნივთიერებათა თვისებები და რეაქციათა ტიპები“, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მოსწავლეების ინტერესის გაზრდას ემსახურებოდა. პროექტს ხელმძღვანელობდა ქალბატონი **კლარა ფილფანი**, რომელიც 52 წელია ემსახურება თაობებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყოველ დღეს ულამაზებს მოსწავლეებს.

პროექტის ფარგლებში, მესტიის მუნიციპალიტეტის იმ სკოლებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორია, მივეცით საშუალება, ჩართულიყვნენ პრაქტიკულ სამუშაოებში, რადგან სწავლა კეთებით და კვლევის უნარ-ჩვევების განვითარება ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართვას საზოგადოებრივ საქმიანობებში.

ჩვენი სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეები – **თათია ჯაფარიძე, ოთო ჯაფარიძე, მათე ქურდიანი, ნინო ნაკანი, მარიამ ნავერიანი, თამარ ჯაფარიძე, გიორგი გულედანი, ლიზი ჯაფარიძე** – ატარებდნენ ცდებს და მონაწილე სკოლების მოსწავლეებიც ჩაერთვნენ პრაქტიკულ სამუშაოებში.

პროექტში მონაწილეობდნენ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების საჯარო სკოლები: იელის, კალას, იფარის, უშგულის, ლენჯერის №2, მაზერის, ბეჩოს, ცხუმარის, ეცერის, ყარსგურიშის, ჭუბერის, ხაიშის. მადლობა ყველა პედაგოგს, მოსწავლეს და დირექტორს აქტიური თანამშრომლობისთვის.

სსიპ დ. მესტიის №3 საჯარო სკოლა

ქართველები უცხოეთში

ამერიკაში მცხოვრები ქართველი, რომელიც ყოველთვის საქართველოზე ზრუნავდა

კერძო სკოლა-ლიცეუმი „მწიგნობართუხუცესის“ მოსწავლეები, წლების განმავლობაში, ახორციელებენ პროექტს „არდავიწყება მოყვრისა, აროდეს გვიზამს ზიანსა“, რომელიც გაზეთ „ახალ განათლებაში“ შუქდება. პროექტის ფარგლებში, აშშ-ში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა ცხოვრებას ვეცნობით. პროექტის ხელმძღვანელია ქიმიის პედაგოგი ა/დ ქეთევან ქიქოძე.

„ყველა ქვეყნის სიძლიერე განათლების სისტემასა და ინტელექტუალურ რესურსებშია. საქართველომაც პრიორიტეტად ინტელექტუალური რესურსები უნდა აირჩიოს“.

შოთა ვაშაკიძე

ბატონი შოთა შეერთებულ შტატებში მცხოვრები მე-3 თაობის ემიგრაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი დაიბადა დიდი ფიზიკოსის, ივანე ვაშაკიძის და ეთერ დუღაშვილის ოჯახში, 1950 წელს. 2000 წლის მაისში მიენიჭა წარმოების მართვის მაგისტრის ხარისხი, აშშ-რათგერსის უნივერსიტეტი. 1993 წლიდან ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში. პროფესორი მიწვეული იყო იტალიაში – ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტში, აშშ-ში – მერილენდის უნივერსიტეტში, გერმანიაში – მაღალი ენერგიის ფიზიკის ჯგუფში, ასევე მოღვაწეობდა ქალაქ დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში.

მეცნიერება მისთვის იყო საკურთხეველი, რომლის სამსხვერპლოზე ყველაფერი უნდა გაიმეტო. თუ რაიმე საქმეს მოკიდებდა ხელს, პირველ რიგში, სამეცნიერო ლიტერატურას წაიკითხავდა. მას ძალიან მოსწონდა აზრი „კალმასობიდან“ – *„უნდა პირველად ისწავლო სამსახური, ყოფაქცევა და მერე შეხვიდე საქმეში“*. ბატონი შოთა, სამეცნიერო საქმიანობის კვალდაკვალ, საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. ის იყო:

- საერთაშორისო ასოციაცია „კვალის“ დამაარსებელი და პრეზიდენტი;
- „ამერიკაში საქართველოს ასოციაციის“ დირექტორთა საბჭოს წევრი, განათლების განყოფილების დირექტორი;
- რათგერსის უნივერსიტეტის პროფესორი;
- AT&T ბელის ლაბორატორიების წამყვანი მეცნიერ-მუშაკი;
- ქართული მწერლობის სტიმულირების მიზნით, „კვალის“ ეგიდით, 2002 წელს, პირველად ჩატარდა კონკურსი პროზასა და დრამატურგიაში, გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიებით, ნაწარმოებები გამოიცა კრებულის სახით და განთავსდა ინტერნეტში;
- ჩაატარა რამდენიმე მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი ღონისძიება, მათ შორის, საქართველოს კულტურის დღეები ამერიკის შეერთებულ შტატებში;
- 2004 წელს, პირველად, „კვალის“ ეგიდით, ჩატარდა განათლების, მეცნიერებისა და მედიცინის საერთაშორისო ფორუმი საქართველოში, რომელშიც მონაწილეობდნენ უცხოეთში მოღვაწე ქართველი სპეციალისტები;
- მის მიერ ჩამოტანილი საკმაო მოცულობის მედიკამენტები და ტანსაცმელი, საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, დაურიგდა უნარშეზღუდულ და უპოვარ ბავშვებს;
- ბოტანიკურ ბაღს ჩამოუტანა უნიკალური ჯიშის მცენარეთა თესლები.

ჯილდოები და წარდგენები

- 2003 წელს დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით;
- 2003 წელს წარდგენილი იყო რობერტ ფ. კენედის საერთაშორისო პრემიაზე.

განხორციელებული პროექტები:

„წლების წინ, რათგერსის უნივერსიტეტის პროფესორ ჯიმ ელიოტთან საუბრის დროს, გაჩნდა პირველი პროექტი, რომ ნიჭიერი ქართველი სტუდენტებისთვის, ამერიკაში, დაგვეარსებინა ფონდი. ბატონი ჯიმ ელიოტი „ექსონის“ კომპანიაში მუშაობდა, სადაც თანხის ნაწილის მოძიება შეეძლო, ნაწილი კი ჩვენმა და ელიოტების ოჯახმა გაიღო. პირველი სტუდენტი რათგერსის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად წავიყვანეთ. დროთა განმალობაში, როდესაც ჩვენი საქმიანობა გაფრთოვდა, საქველმოქმედო ორგანიზაცია „კვალი“ შეიქმნა, რომელიც ამერიკაში სწავლის გაგრძელების მსურველ ნიჭიერ ახალგაზრდებს გზას უკაფავდა“ – იხსენებდა ბატონი შოთა.

2003 წელს, ამერიკის საელჩოსთან თანამშრომლობით, „კვალი“ ხსნის საგანმანათლებლო-ინფორმაციულ ცენტრს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება მიეცათ, ესარგებლათ ამერიკული სტანდარტებით აღჭურვილი სასწავლო ცენტრით. საქართველოში პირველად, სწორედ ამ ცენტრს ჰქონდა კომპიუტერული ქსელი, რომელიც ინტერნეტში იყო ჩართული სწრაფი გამოყოფილი ხაზით. აშშ-დან საგანგებოდ ჩამოიტანეს ბიბლიოთეკა. ცენტრი, ასევე, მასპინძლობდა აშშ-დან მოწვეულ პროფესორ-მასწავლებლებს.

ქართველ სტუდენტებს, ონლაინ რეჟიმში, ლექციებს უკითხავდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული გამოჩენილი მეცნიერები და ლექტორები.

შოთა ვაშაკიძის თაოსნობით, 2003 წლის 18 ოქტომბერს, რათგერსის უნივერსიტეტში, პირველად ჩატარდა საქართველოს კულტურის დღეები ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელსაც 500-ზე მეტი ქარველი ემიგრანტი და 200-მდე უცხოელი სტუმარი ესწრებოდა.

კულტურის დღეებზე წარდგენილი იყო „კვალის“ ეგიდით ჩატარებულ, პირველ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებული მწერლის, ვანო ჩხიკვაძის პიესა-მონოლოგი, ერთი მსახიობის თეატრისთვის, „ორი მდინარის შესართავთან“, რომელშიც მონაწილეობდა მსახიობი ჯემალ მონიავა; დამთვალიერებლები აღაფრთოვანა ქართველი ემიგრანტი მხატვრების ნამუშევრებმა და ხელნაკეთმა ნივთებმა, განაცვიფრა ქართულმა სიმღერებმა და ცეკვებმა. უნდა აღინიშნოს ქართული მრავალფეროვანი სამზარეულოც, შოთა ვაშაკიძის მეუღლის, ქალბატონ ნანას მიერ მომზადებული კერძები, მისივე ხელით დამზადებული 700 ჩურჩხელა.

2004 წლის ივლისში, ბატონი შოთას თაოსნობით, საქართველოში, პირველად ჩატარდა საერთაშორისო ფორუმი განათლების, მეცნიერებისა და მედიცინის განვითარების საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს ყველა კუთხეში მიმოფანტულმა ქართველმა ემიგრანტებმა. ფორუმის მიზანი იყო თანამშრომლობის პროექტების დანერგვა, აშშ-ში ქართველთა სათვისტომოს საქართველოსთან დაკავშირება.

ამ პროექტის განსახორციელებლად შოთა ვაშაკიძეს თავდაუზოგავი შრომა დასჭირდა, რათა ურთიერთობები დაემყარებინა ამერიკაში მცხოვრებ ექიმებთან, მეცნიერებთან და სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. პერიოდულად, მის სახლში, ქალაქ ფრიჰოლდში, იკრიბებოდნენ ემიგრანტები – ქართველი მედიკოსები, მეცნიერები, განათლების სისტემის მუშაკები, რომლებიც ამერიკის სხვადასხვა შტატებიდან ჩამოდიოდნენ. ერთწლიანი მზადების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჩატარდა საერთაშორისო ფორუმი, რის შედეგადაც საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები სპეციალისტები ერთმანეთს დაუკავშირდნენ.

მრავალწლიანი შრომის შედეგად, ბატონმა შოთამ და ჩვენმა პედაგოგმა, ქეთევან ქიქოძემ მოიძიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა ისტორიული არქივი (ფოტოები, პუბლიკაციები და წიგნები), რომელმაც ბინა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ემიგრანტთა კაბინეტში დაიდო.

ბატონი შოთა, ოჯახთან და მეორე თაობის ქართველ ემიგრანტებთან ერთად, ოთხ ივლისს, აშშ-ს დამოუკიდებლობის დღეს, „ალავერდში“ აღნიშნავდა.

მისი ცხოვრების უერთგულესი მეგზური სკოლის მერხიდან, ქალბატონი ნანა ლეგრანი, ქართველ ლინგვისტებთან და პროგრამისტებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა პირველი და ერთადერთი ინგლისურ-ქართული ინტერნეტ ლექსიკონის შექმნაში. ყველა პროექტის განხორციელებისას მხარში ედგა მეუღლეს.

ბატონი შოთას შთამომავლები – ივანე და ნია წარმატებულად მოღვაწეობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმცა არასდროს ივიწყებენ საქართველოს. შვილიშვილები კი სკოლის მოსწავლეები არიან.

ჩვენმა თაობამ პირნათლად უნდა ვატაროთ და დავიცვათ ქვეყნის მომავლის ღირსება ისე, როგორც ამას აკეთებდა ემიგრაციაში მცხოვრები ქართველი – შოთა ვაშაკიძე, რადგან ეს მოგვცემს მომავლისკენ ხედვის ძალას.

თამუნა ხურცილავა,
ქეთევან ზივზივაძე
XI კლასის მოსწავლეები

უფრო ვრცლად მასალებს შეგიძლიათ გაეცნოთ ჩვენს საიტზე – www.emigrantebi.weebly.com (შოთა ვაშაკიძე)

ინფორმაცია

მოსწავლე გამომგონებლები

ქართველი გამომგონებელი ბავშვების – **ალექსანდრე ხოხიაშვილის**, **დიმიტრი კორკოტაშვილის** და **თამარ კორკოტაშვილის** პროექტის სახელწოდებაა „მიკროკონტროლერის გამოყენებით თვითსწავლებადი სისტემის შექმნა“, მიმართულება – „რობოტიქსი და ინტელექტუალური მანქანები“. ამ პროექტმა ლოს-ანჯელესში, Intel ISEF-ის კონკურსში გაიმარჯვა.

„The Intel International Science and Engineering Fair (Intel ISEF)“, მეცნიერებისა და ინჟინერიის მიმართულებით, მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური და წარმომადგელობითი კონკურსია. წელს ეს კონკურსი ლოს-ანჯელესში ჩატარდა და მასში მსოფლიოს 78 ქვეყნის 1800-მდე კონკურსანტი მონაწილეობდა. 800-ზე მეტი პროექტი იყო წარმოდგენილი, ყველა სამეცნიერო მიმართულებით, პრიზები 22 კატეგორიაში გაიცემოდა.

კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები: ალექსანდრე ხოხიაშვილი, დიმიტრი და თამარ კორკოტაშვილები, Intel ISEF-ზე, ერთ-ერთ უახლეს და

ურთულეს კატეგორიაში მონაწილეობდნენ, სადაც მათ 60-ზე მეტი ამერიკული და ევროპული გუნდი უწევდა მეტოქეობას. ქართველმა გამომგონებლებმა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ინოვაციური პროექტი შექმნეს და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

„ბევრი ძალიან საინტერესო და ორიგინალური ნამუშევარი ვნახეთ, – ამბობს კონკურსის გამარჯვებული ალექსანდრე ხოხიაშვილი, – *რაც შეეხება ჩვენს პროექტს, ის მოიცავდა როგორც თეორიულ კვლევას, ასევე ტექნიკურ გადაწყვეტილებებს. მიღებული გვაქვს კარგი პრაქტიკული შედეგები და მნიშვნელოვანი თვალსაჩინოებაც წარვადგინეთ, რისი გადამოწმებაც ჟიურის წევრებს ადგილზე შეეძლოთ. ბევრმა მათგანმა ეს ინტერესით გააკეთა და ძალიან მოიწონა.“*

მიკროკონტროლერი პატარა კომპიუტერია, რომელიც მოთავსებულია მხოლოდ ერთ ჩიპში. მისი გამოყენების სფერო თითქმის შეუზღუდავია. *„ჩვენ გამოვიყენეთ მიკროკონტროლერის ეს უპირატესობა და გავაკეთეთ ძალიან მარტივად გამოყენებადი ზოგადი სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა, სხვადასხვა ამოცანა გადაიჭრას არა კლასიკური (ფიზიკა+მათემატიკა+პროგრამირება) მეთოდით, არამედ სწავლებით. მაგალითად, თუ გვინდა, რომ ჩვენმა რობოტმა იაროს თეთრ ზოლზე, ამისთვის, სპეციალიზებული პროგრამის დაწერის ნაცვლად, საკმარისია გარკვეული დროის განმავლობაში ჩვენი სისტემით აწყობილი რობოტი ვატაროთ ზოლზე და ის თვითონ გამოიმუშავებს ამ უნარებს. ამდაგვარი სისტემის გამოყენება შეიძლება ბევრად უფრო რთულ და საინტერესო ამოცანებში, სადაც სპეციალიზებული პროგრამის დაწერა ან ძალიან რთულია, ან საერთოდ შეუძლებელიც. ამ სისტემის შესაქმნელად შევისწავლეთ და გამოვიყენეთ დღეისათვის ფართოდ გავრცელებული ხელოვნური ნეირონული ქსელები, რომლებიც დაახლოებით ისე მუშაობს, როგორც ადამიანის ტვინში არსებული ბუნებრივი ნეირონები.“* – ასე ხსნიან მოსწავლეები საკუთარი გამოგონების უპირატესობას.

გამომგონებელი მოსწავლეები შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ პრიზიორები არიან.

წარმატებული პროექტები

თბილისში „ბიზნეს მედია კონტაქტის“ საერთაშორისო ფორუმი და დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. ღონისძიებაზე იმ წარმატებული პროექტების პრეზენტაცია და დაჯილდოება შედგა, რომლებმაც წვლილი შეიტანეს საქართველოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის, ტურიზმის, განათლების, ჯანდაცვისა და საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში.

ფორუმზე წარმოდგენილი იყო წარმატებული სახელმწიფო და ბიზნესპროექტები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოში განათლების, ჯანდაცვის, ეკონომიკისა და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაში.

განათლების სფეროს მასშტაბური რეფორმის ფარგლებში განხორციელებული პროექტებისა და საერთაშორისო განათლების სტანდარტების დანერგვისათვის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „ბიზნეს მედია კონტაქტის“ სპეციალური ჯილდო გადაეცა. დაჯილდოების ცერემონიას მინისტრის მოადგილე **ნათია ზედგინიძე** ესწრებოდა.განათლების სფეროში განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმებისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის ხელშეწყობისათვის, სიმბოლური ჯილდო გადაეცა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ ჯაშს;** პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **ოთარ დანელია** კი დაჯილდოვდა საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში შეტანილი წვლილისა და საქართველო-ჩინეთის ორმხრივ თანამშრომლობაში ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის.

საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი – სიხარულის სკოლა!

პირველად ლექსი ჩემს ცხოვრებაში პატარაობისას გაჩნდა. ლექსებს ბებო და დედა მიკითხავდნენ ხოლმე და ასე ყალიბდებოდა ჩემი ცნობიერება. მეორე კლასში ვიყავი, როცა დავიწყე საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში შემოქმიდებით წრეზე სიარული.

აქ გატარებული ყოველი დღე ჩემთვის უმნიშვნელოვანესია, რადგან ჩემი უძვირფასესი მასწავლებელი ნუნუ გოგოლიძე ლექსის სიყვარულს მიძლიერებს, მზრდის. სულ რაღაც 7 წლის ვიყავი, როცა თავი მოვუყარეთ ყველა იმ ლექსს, რომელთა შესწავლაც ესოდენ ბედნიერებას მგვრიდა და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გავმართეთ საღამო „ჩემი ცხოვრება ამ ლექსს თან ახლავს“. ეს იყო პოეზიის დიდი ზეიმი, რომელმაც აღაფრთოვანა საჩხერელი მაყურებელი.

წრის წევრები მრავალჯერ წავსულვართ ცნობილი ადამიანების სახლ-მუზეუმებში, გამოვსულვართ კონკურსებზე, ღონისძიებებზე, საღამოებზე, ვიყავით საგურამოში, სხვიტორში, არგვეთში – პაოლო იაშვილისა და მუხრან მაჭავარიანის სახლ-მუზეუმებში. რაც დრო გადიოდა, პოეზიის სიყვარულით გვევსებოდა სული.

უკვე 5 წელია, რაც შემოქმედებითი წრის წევრი ვარ. არსად ასეთი ხალისი და აღფრთოვანება არ მიმყვება, როგორც აქ, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში.

არასოდეს წაიშლება ჩემი მეხსიერებიდან 2019 წლის 17 მარტი. ამ დღეს შემოქმედებითი წრის წევრთა ერთი ჯგუფი მიწვეული გახლდით მედიაკავშირ „ობიექტივში“, გადაცემაში „კულტურის საათი“, ერეკლე საღლიანთან. ბავშვები თავისუფლად ვმსჯელობდით პოეზიაზე, სამშობლოზე, რწმენაზე, ადამიანურ ურთიერთობებზე. სრულყოფილად წარმოვაჩინეთ ჩვენი რაიონის მკვიდრის, პოეტ გულნაზ ხარაიშვილის პოეზია. მთელი დღის განმავლობაში ჩვენთან ერთად იყვნენ ცნობილი ადამიანები, პოეტები: ერეკლე საღლიანი, კახა ბაციკაძე, სერგი ლომინაძე, ლეილა გაფრინდაშვილი, მამა ამირანი (ამირანაშვილი), თემო გოგსაძე – საყოველთაოდ ცნობილი ადვოკატი, ნიკოლა ბაღაშვილი – პოეტი, მსახიობი და რეჟისორი.

განსაკუთრებით ამაღელვებელი და სასიხარულო იყო ჩვენთვის ნუნუკა მასწავლებლის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წევრად არჩევა და მისთვის აკადემიის დიპლომის მინიჭება.

დიდი მადლობა საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორს, ბერიკა დეკანოიძეს და მადლობა ჩვენს საყვარელ ნუნუ მასწავლებელს ბავშვობის დღეები რომ გაგვილამაზეს.

მე და ჩემი უფროსი მეგობრები – ნიკა ღუღუნიშვილი, ოთარ გიორგაძე, ნინო ტყავაძე, ეკა ქემერტელიძე, სალომე შუბითიძე, ლანა ტალახაძე – საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს სიხარულის სკოლას ვეძახით. მთელი ცხოვრება გაგვინათებს სავალ გზას აქ გატარებული ყოველი დღე.

ტატო ტოგონიძე
საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი წრის წევრი

სკოლის ცხოვრების ისტორიული ფურცელი

ჩემი სკოლა დიდი მგოსნის, აკაკი წერეთლის სახელს ატარებს, რაც ჩემთვის ძალიან საამაყოა. მისი მთავარი მიზანი სიმართლის სამსახურში დგომა იყო და მისი ბასრი კალამიც ერს ყოველთვის ჭეშმარიტ გზას უჩვენებდა.

დღე, რომელიც აკაკი წერეთლის კაბინეტის გახსნას მიეძღვნა, ჩემთვის დაუვიწყარია. ამ წამოწყების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ჩვენი სკოლის პედაგოგი ნუნუ გოგოლიძე იყო, მონწვეული სტუმრები კი – აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის დირექტორი ცეზარ ლაშხი, მუზეუმის თანამშრომლები: ლეილა მაკასარაშვილი და ლეილა ზაბახიძე , ა კ ა კ ი ს სახელობის პირველი სტიპენდიანტი, ამავე სკოლაში აღზრდილი, საჩხერის კულტურის მუშაკი, პოეტი კახა სამყურაშვილი, საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ბერიკა დეკანოიძე. ღონისძიებას ესწრებოდნენ №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები.

ნუნუ მასწავლებელმა მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა. მან ისაუბრა აკაკის როლსა და მნიშვნელობაზე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მოსწავლეებს საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდეს სტუმრებმაც. ისინი ხელდამშვენებულნი მობრძანდნენ და აკაკის კაბინეტი მგოსნის ცხოვრების ამსახველი სურათებით, სტენდებით, წიგნებით დაამშვენეს და შეგვიქმნეს გარემო, რომელიც ყოველთვის შეგვახსენებს საქართველოს მგოსნის მოღვაწეობას, ბავშვობიდან გარდაცვალებამდე.

სკოლის პედაგოგებმა: მარინა მჭედლიძემ, დარეჯან ტაბატაძემ, მანანა გოგოლიძემ და სკოლის დირექტორმა, ირმა კაპანაძემ მადლობა გადაუხადეს სტუმრებს ძვირფასი საჩუქრებისათვის. მათ აღნიშნეს, რომ საამაყოა ასეთი ბუმბერაზი პოეტის სახელობის კაბინეტის არსებობა ჩვენს სკოლაში, თუმცა ასევე დიდ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული – ჩვენ ხომ განსაკუთრებით მოგვეთხოვება აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების ცოდნა და გააზრება.

აკაკის სახელობის კაბინეტის გახსნით საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. ამ კაბინეტით ისარგებლებს არა მარტო ჩვენი სკოლა, საჩხერის სხვა საჯარო სკოლებიც, რომელთაც ექნებათ სურვილი, ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლონ აკაკის შემოქმედება.

ბედნიერებაა, რომ ამ დიდებული საქმის მონაწილე ვარ. იმედი მაქვს, ბევრი ღირსეული მამულიშვილი აღიზრდება ამ კაბინეტში და სათანადოდ წარმოვაჩენთ როგორც აკაკის, ისე სხვა მწერალთა სახელებს.

ნინო ტყავაძე
აკაკი წერეთლის სახელობის №1 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე

უცხოური ენის სწავლებისათვის

წერითი უნარების განვითარება უცხო ენაში

ენა, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ურთიერთობების დასამყარებლად საჭირო ფენომენია.

ენა ადამიანური არსებობის განუყოფელი ნიშანია და ყველა სფეროსთან მის ურთიერთობაშია ჩართული. ადამიანი ენობრივი არსებაა, ხოლო ენა ადამიანის არსებობის აუცილებელი სოციალური წინაპირობაა.

ენის არსის, დანიშნულებისა და მნიშვნელობის შესახებ მრავალი მოსაზრება არსებობს. ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი გ. ნებიერიძე ენის ორ ძირითად ფუნქციას გამოყოფს: ექსპრესიული და საკომუნიკაციო. სიტყვა „expression“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „გამოვხატავ“. ეს ნიშნავს, რომ ენის ძირითადი დანიშნულებაა აზრის, შეხედულებების გამოხატვა.

ენის მეორე და ძირითად ფუნქციად ნებიერიძეს საკომუნიკაციო ფუნქცია (ლათ. „communicatio“ – „ვატყობინებ“) მიაჩნია, სწორედ ენის საშუალებით ხდება აზრების გაზიარება ერთი ინდივიდის მიერ მეორესთვის. ამდენად, მისი არსი და მნიშვნელობა მეტად დიდია, ის ადამიანის არსებობის განუყოფელი ნაწილია.

ამა თუ იმ ენაზე სრულყოფილი კომუნიკაციისთვის ენობრივი კომპეტენციის ოთხი უნარი გვჭირდება, ესენია: მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა. მშობლიური ენის სწავლების დროს ჩვენ ჯერ ვისმენთ ამ ენას, შემდეგ ვიწყებთ ამ ენაზე საუბარს, კითხვას და წერას. იმავე პროცესს გადის ადამიანი უცხო ენის სწავლისას.

უცხო ენის სწავლების მეთოდიკაში მოსმენისა და კითხვის უნარი მიჩნეულია რეცეპციულ უნარებად, ლაპარაკი და წერა კი – პროდუქციულ უნარებად.

წერითი კომპეტენციის ჩამოყალიბებაზე მუშაობისას, განასხვავებენ ორ მომენტს: წერას, როგორც მიზანს და წერას, როგორც საშუალებას მიზნის მისაღწევად.

წერა, როგორც მიზანი

არსებობს წერითი აქტივობები, რომლის დროსაც წერა არის მიზანი. როდესაც ენის შემსწავლელი წერს წერილს, მისი მოქმედების შედეგს წარმოადგენს სწორედ ეს წერილი, რომლის გაგზავნასაც ის ისახავს მიზნად. წერის ასეთივე მაგალითებს წარმოადგენს:

- უცხოელ მეგობრებთან სოციალური ქსელის საშუალებით მიმოწერა;
- ფორმულარების შევსება;
- საფოსტო ბარათებზე მოკლე წერილების წერა;
- მისალოცი ბარათების წერა;
- სააპლიკაციო ფორმების შევსება და ა.შ.

წერა, როგორც მიზნის მისაღწევი საშუალება

არსებობს უამრავი წერითი აქტივობა, რომლის დროსაც წერა წარმოადგენს არა მიზანს, არამედ რომელიმე ენობრივ საშუალებაზე ვარჯიშს, ანუ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას. მაგალითად, გრამატიკული სავარჯიშოების წერისას, ენის შემსწავლელის მიზანს წარმოადგენს რომელიმე კონკრეტულ გრამატიკულ სტრუქტურებზე ვარჯიში (შდრ.Gerdes 1984). მსგავსი ტიპის მაგალითებს წარმოადგენს:

- საკვანძო სიტყვების ჩანიშვნა რაიმეს მოსმენისას;
- სიტყვების ამოკრეფა-დაჯგუფება სატელეფონო საუბრისას ან რეფერატის მომზადებისას და სხვ.

წერით კომპეტენციაზე მუშაობას უცხოური ენის თანამედროვე გაკვეთილზე ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი უკავია და როგორც მოსწავლისგან, ასევე მასწავლებლისგანაც საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

წერითი მეტყველების განვითარება უცხოური ენის გაკვეთილზე ხორციელდება რამდენიმე წერითი აქტივობით:

- ოფიციალური წერილების წერა;
- არაოფიციალური (პირადი) წერილებისა და ბარათების წერა;
- ფორმულარების შევსება;
- მოკლე შეტყობინებების წერა მესამე პირთათვის და სხვ.

კომუნიკაციური მიზნების გარდა, უცხოური ენის გაკვეთილზე, წერის ქვეშ მოიაზრება, ასევე, გაკვეთილისათვის საჭირო სხვადასხვა ***აქტივობის ხელშეწყობა***:

- საშინაო დავალებების წერა;
- ტესტების წერა;
- გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოების კეთება წერილობით;
- ჩანიშვნების კეთება, რომელზე დაყრდნობითაც შემდგომში ენის შემსწავლელი რომელიმე სამეტყველო აქტივობას ასრულებს.

წერის მიზანია, ამასთან, დანარჩენი ***სამეტყველო უნარ-ჩვევების განვითარებისათვის ხელშეწყობა***.

ნეიროფსიქოლოგიის სფეროში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ადამიანის ტვინში არ არსებობს სამეტყველო უნარ-ჩვევების იზოლირებულად წარმოდგენილი და დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ცენტრები. ამ ცენტრებს შორის მუდმივად მიმდინარეობს ინტენსიური „კომუნიკაცია“. მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა, როგორც აქტივობები, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და, ენის ათვისების პროცესში, ისინი ერთმანეთის განვითარებას უწყობენ ხელს (შდრ. Muller 1989, 35; Kruck 1982, 391).

წერა მჭიდრო კავშირშია ადამიანის ფიქრებთან და მსჯელობასთან. იგი ეხმარება ენის შემსწავლელს არასისტემურად, ქაოტურად წარმოდგენილი ***ფიქრებისა და აზრების დალაგებასა და სტრუქტურირებაში*** (შდრ. Krumm 1989, 6). ამდენად, წერის კომპეტენციის ჩამოყალიბება მოსწავლეებში არ ხდება იზოლირებულად, სასწავლო პროცესში ის სხვა უნარ-ჩვევებთან ერთად მოიაზრება და მათ განვითარებასაც უწყობს ხელს.

ქვემოთ წარმოდგენილი **დავალებათა ტიპები** ემსახურება შემდეგი კომპეტენციების განვითარებას:

წერა კომუნიკაციურ-პრაგმატული მიზნებისთვის

- რეალურ საკომუნიკაციო სიტუაციაზე ორიენტირებული წერა: წერილები, მოსამზადებელი ჩანიშვნები, დასკვნები და სხვა;
- მასალის სიღრმისეული წვდომა და მისი ანალიზი.

კრეატიული/შემოქმედებითი წერა: თხზულება, თემა და სხვ.

უცხოური ენის გაკვეთილზე წერით კომპეტენციაზე მუშაობა, მეთოდურ-დიდაქტიკური თვალსაზრისით, უნდა აიგოს სქემით *„სიტყვიდან-წინადადებამდე; წინადადებიდან-ტექსტამდე“*. მაშასადამე, წერის პროცესი უნდა იგებოდეს ნაბიჯ-ნაბიჯ, როგორც ეს ამ სქემაშიც ჩანს ნათლად.

კასტის (1999) მიხედვით, სავარჯიშოთა ტიპებს აჯგუფებენ ხუთ კატეგორიად:

1. მოსამზადებელი სავარჯიშოები

პირველ კატეგორიაში შემავალი სავარჯიშოები არ გულისხმობს ტექსტების შექმნას. ისინი ამზადებენ ენის შემსწავლელებს ახალი ტექსტის შესაქმნელად. ამ კატეგორიაში შემავალი სავარჯიშოების მიზანია:

- ახალი ტექსტისათვის აუცილებელი ლექსიკური ერთეულების შეგროვება-დამუშავება და მათზე ვარჯიში;
- ენის შემსწავლელთა არსებული ცოდნის გააქტიურება;
- ორთოგრაფიაზე და პუნქტუაციაზე ვარჯიში (შდრ. Kast 1999, 34).
- სიტყვათა ჯაჭვების შედგენა საგაკვეთილო თემის ირგვლივ *(ყოველი დასახელებული სიტყვის ბოლო ასო-ბგერამ უნდა შეადგინოს შემდგომი სიტყვის საწყისი ასო-ბგერა)*;
- წინადადებების აწყობა ცალკეული სიტყვის დამატებით წყვილებში ან ჯგუფურად *(პირველი სიტყვა მოცემულია, ენის შემსწავლელი მას მეორე სიტყვას ამატებს, მეორე შემსწავლელი – მესამეს და ა.შ., ვიდრე ერთ-ერთი შემსწავლელი არ დაასრულებს მოცემულ წინადადებას)*;
- ნახევრად შევსებული დიაგრამების დასრულება *(კონკრეტულ თემაზე მოცემულია დიაგრამა, რომელშიც გარკვეული სიტყვები ლოგიკური თანმიმდევრობითაა დალაგებული. ენის შემსწავლელი უნდა მიხვდეს არსებულ ლოგიკას და დაასრულოს დიაგრამა დარჩენილი სიტყვების ჩაწერით. ეს სავარჯიშო განსაკუთრებით ეფექტურია თემაზე „ოჯახი“ სამუშაოდ, ამ შემთხვევაში, მოცემულ დიაგრამას „გენეალოგიური ხე“ წარმოადგენს)*.

2. სავარჯიშოები, რომლებიც მოსწავლეთა ცოდნის განმტკიცებას უწყობს ხელს

ამ სავარჯიშოებში წერითი აქტივობები წინადადების დონეზე ხორციელდება (სქემა: სიტყვიდან-წინადადებამდე; წინადადებიდან-ტექსტამდე). ამ კატეგორიაში გაერთიანებული სავარჯიშოების მიზანია, დაეხმაროს ენის შემსწავლელს, ცალკეული სიტყვებისგან შექმნას სრულფასოვანი წინადადებები, ტექსტის ტიპიდან გამომდინარე და გაითვალისწინოს ამ ტექსტის ტიპისათვის დამახასიათებელი წინადადების წევრების პოზიცია. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ სწორედ ამ ეტაპზე, ენის შემსწავლელებმა კარგად გაიაზრონ წინადადების სხვადასხვა წევრის მნიშვნელობა და ფუნქცია წინადადებაში. ამ ფაზის ტიპურ სავარჯიშოთა მაგალითებია:

- სავარჯიშოები, რომელთა მეშვეობითაც ენის შემსწავლელები ყურადღებას გაამახვილებენ წინადადების პირველი წევრის მნიშვნელობაზე, ანუ ტექსტის თითოეული წინადადება უნდა დაიწეროს ახალი ხაზიდან, რის შედეგადაც წინადადების ყოველი პირველი წევრი ერთმანეთის ქვემოთ მოექცევა და თვალსაჩინო გახდება, რომელი მათგანი დგას პირველ ადგილზე (ეს სავარჯიშო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გერმანული ენის შემსწავლელთათვის, სადაც ქვემდებარეს მკაცრად გაწერილი პოზიცია აქვს და მისი მდებარეობა, რიგ შემთხვევაში, ტექსტის ტიპიდან გამომდინარე იცვლება, მაგალითად, საგაზეთო სტატიებში/პუბლიკაციებში და ა.შ.);
- სავარჯიშოები, რომლებშიც წინადადების წევრები არათანმიმდევრულად არის მოცემული. ენის შემსწავლელებმა ისინი გრამატიკული პარადიგმებისა და წესების გათვალისწინებით უნდა დაალაგონ სწორი თანმიმდევრობით. უფრო მაღალ საფეხურებზე, შესაძლოა, ენის შემსწავლელებს, წინადადების წევრების დალაგებასთან ერთად, მორფოლოგიური და სინტაქსური ცვლილებების განხორციელებაც მოვთხოვოთ.

3. მასტრუქტურირებელი სავარჯიშოები

მოცემულ კატეგორიაში გაერთიანებული წერითი აქტივობების მიზანია სრულყოფილი ტექსტების შექმნა. მასტრუქტურირებელი სავარჯიშოების მიზანია, დაანახოს და ასწავლოს ენის შემსწავლელებს, როგორ მართონ წერის პროცესი, რათა შედეგად მიიღონ ენობრივად კომპლექსური პროდუქტი (შდრ. Kast 1999, 87).

მასტრუქტურირებელ სავარჯიშოთა გავრცელებული ტიპებია:

- მოცემული დიალოგის მიხედვით მოთხრობის შექმნა;
- ტექსტის დასრულება;
- მოცემული ტექსტის სხვა ადამიანის ან გმირის პერსპექტივიდან დაწერა;
- მოცემულ სურათებზე ისტორიების მოფიქრება და დაწერა.

4. თავისუფალი და შემოქმედებითი წერა

თავისუფალი და შემოქმედებითი წერა ხშირად სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება, თუმცა, ისინი მხოლოდ ერთმანეთის შემავსებელი და გადამკვეთი ცნებებია (Kast 1999, 126).

თავისუფალი წერის ცნებას სხვადასხვა დიდაქტიკოსი განსხვავებულად ახასიათებს. ასე, მაგალითად, პორტმანი (1991) თავისუფალ წერას შემდეგნაირად განსაზღვრავს: *„ზოგისთვის თავისუფალი წერა გულისხმობს არამიზანმიმართულ წერას, რომლის დროსაც ენის შემსწავლელები არანაირ დირექტივებს და მითითებებს არ მიჰყვებიან და არ ეყრდნობიან რაიმე მოცემულობას, არამედ მხოლოდ იმას წერენ, რისი დაწერაც მათ სურთ. მაშინ, როდესაც სხვები თავისუფალ წერაში გულისხმობენ მიღებული ცოდნის გამოყენებას, რომლის მიღწევამდე ენის შემსწავლელებმა უკვე შეასრულეს მოსამზადებელი დავალებები“*. თავად პორტმანი თავისუფალ წერაში გულისხმობს *„წერას ყოველგვარი ჩარჩოების გარეშე“* (შდრ. Portmann 1991, 201). შემოქმედებითი წერა ხშირად საინტერესო და სამოტივაციო იმპულსით იწყება. ეს შეიძლება იყოს რაიმე სურათი, ნახატი, მუსიკა, საინტერესო გამონათქვამი ან ციტატა, მოკლე ტექსტი თუ სხვ.

5. კომუნიკაციურ წერაში

შედის ყველა ის წერითი აქტივობა, რომელიც ენის შემსწავლელებს მიზანმიმართულად ამზადებს რეალურ ცხოვრებაში კომუნიკაციისათვის. კომუნიკაციურ წერას ეკუთვნის:

- წერილების წერა (ოფიციალური და პირადი წერილები);
- საფოსტო ბარათების წერა;
- საკლასო კორესპონდენცია;
- ფორმულარების შევსება;
- მოსაწვევების წერა;
- პროტოკოლების წერა;
- ტაბელარული ავტობიოგრაფიების წერა და სხვა (შდრ. Kast 1999, 139).

უცხოური ენის მასწავლებელი, დასახული შედეგის ეფექტურად მიღწევის მიზნით, ენის შემსწავლელთა განსხვავებული ტიპების არსებობის გამო, რიგ შემთხვევებში, აქტივობების დიფერენცირებას უნდა ახდენდეს. დიფერენცირებული მიდგომები წერით კომპეტენციაზე მუშაობისას დამოკიდებულია:

- აქტივობისთვის განკუთვნილ დროზე *(ერთი შემსწავლელი უფრო სხარტია და ნაკლებ დროს ანდომებს დავალების შესრულებას, ვიდრე მეორე)*;
- ენის ფლობის დონეზე *(ჯგუფში თუ ერთი შემსწავლელი უფრო „ძლიერია“, ხოლო მეორე – შედარებით „სუსტი“)*;
- მოსწავლეთა ინტერესებზე *(შემსწავლელების ინტერესთა სფერო ხშირად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სასურველია, მასწავლებელი ამ ფაქტორსაც ითვალისწინებდეს)*;
- სწავლების სოციალურ ფორმებზე *(ზოგს ინდივიდუალურად მუშაობა ურჩევნია და უკეთეს შედეგს იღებს, მაშინ როცა სხვები უპირატესობას წყვილებში ან პატარა ჯგუფებში მუშაობას ანიჭებენ)*. (ეკატ.შავერდაშვილი „უცხო ენების სწავლების საფუძვლები“. თბილ. 2014წ.)

ცნობილი მეთოდისტის, ელის ოშიმას მიხედვით, წერა პროგრესული აქტივობაა. წერის დაწყებამდე, ჯერ ვფიქრობთ, თუ რა დავწეროთ, როგორ ვაპირებთ ჩვენი ნაფიქრის გადმოცემას. წერის დასრულების შემდეგ კი, ვკითხულობთ ნაწერს და შეგვაქვს შესწორებები და ცვლილებები. ამდენად, როგორც ოშიმა მიიჩნევს, წერის აქტივობა მხოლოდ ერთი საფეხურით არ შემოიფარგლება, რამდენიმე ეტაპს მოიცავს.

აქტივობები წერის დაწყებამდე – კითხვების დასმა და ჩანაწერების გაკეთება. ამ ეტაპზე ხდება საწერი თემის შესახებ აზრებისა და იდეების თავმოყრა. ამ დროს ძალიან ეფექტურია თანაკლასელებთან დისკუსიის გამართვა და ჩანაწერების კეთება.

წერითი დავალების წინა ფაზა მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- საწერი თემის შერჩევა, რის შესახებ ვაპირებთ წერას, მაგალითად, განათლების სისტემა, საბანკო სისტემა თუ სხვ.;
- თემის დავიწროება, კონკრეტიზაცია, მაგალითად, განათლების სისტემიდან – მანდატურები სკოლებში;
- გონებრივი იერიში;
- აზრების გონებიდან ფურცელზე გადატანა;
- იდეების ჩამონათვალის შედგენა;
- დაჯგუფება/მაინდ მეფინგი;
- აზრთა გაზიარება/თანატოლებთან განხილვა და საუკეთესო იდეების არჩევა;
- აზრთა ლოგიკური ორგანიზება;
- ძირითადი, მთავარი წინადადების ამორჩევა და მისი სათანადო მაგალითებითა და დეტალებით გამდიდრება;
- ნაწერის გეგმის შემუშავება;
- წერის დაწყება.

თავად წერის პროცესი კი, როგორც ოშიმა განსაზღვრავს, მოიცავს შემდეგს: აზრების თავმოყრა, ორგანიზება და მონახაზის გაკეთება, მონახაზში შესწორებების შეტანა, მეორე მონახაზის გაკეთება და მასში შესწორებების შეტანის შემდეგ, უკვე საბოლოო ვარიანტის შემუშავება.

რაც შეეხება წერის შემდგომ დავალებებს, სასურველია, დაწერილი თემების მოსწავლეებთან ერთად განხილვა-ანალიზი, თემასთან დაკავშირებით დისკუსიის მოწყობა.

საინტერესოა, რა როლს ასრულებს მასწავლებელი წერითი დავალების შესრულების დროს? აღსანიშნავია, რომ სათანადო წერითი დავალების შერჩევის შემდეგ მასწავლებელმა უნდა:

- გააცნოს მოსწავლეებს შერჩეული დავალება და მისი არსი;
- მოსწავლეები ვერბალურად მოამზადოს წერისთვის, მისცეს გარკვეული მიმართულება, სასურველია შესასრულებელი დავალების ნიმუშის განხილვა;
- განუმარტოს ბავშვებს დავალების შესრულების ფორმა (ინდივიდუალურად, წყვილებში თუ ჯგუფებად);
- განსაზღვროს მოსწავლეთა ნაწერების შესწორების ფორმები (D. Byrne, 1993).

სალომე აბრამიშვილი

პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. არგვეთის საჯარო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეკატერინე შავერდაშვილის „უცხოური ენების სწავლების საფუძვლები“;
2. მრავალენოვანი განათლება ევროპაში, თბილისი, გამომცემლობა „საიმედო“, 2008;
3. ნებიერიძე გ., ენათმეცნიერება, თბილისი;
4. უცხო ენების ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები: შესწავლა, სწავლება, შეფასება, თბილისი, გამომცემლობა „საიმედო“, 2008, 204;
5. Kast, B. (1999): Fertigkeit Schreiben, Fernstudieneinheit 12. Berlin.;
6. Oshima A, Introduction to Academic Writing;
7. https://www.goethe.de/ins/ge/ka/spr/wdl.html.

უცხოური ენის სწავლებისათვის

მიმართულება „კულტურათა დიალოგი“, როგორც გაკვეთილის მიზანი

უცხოური ენის სწავლების დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს „კულტურათა დიალოგი“, რომელიც აქტუალური გახდა გასული საუკუნის 90-იან წლებში. ამ პერიოდში შეიცვალა უცხოური ენის სწავლების მეთოდი. ლექსიკურ-გრამატიკული მიდგომა კვლავ იკავებდა და იკავებს მნიშვნელოვან პოზიციას, თუმცა პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადდა საკომუნიკაციო კომპეტენციაზე ორიენტირებული სწავლება. საკომუნიკაციო მეთოდის ერთ-ერთი მიმართულებაა „კულტურათა დიალოგი“, რომელიც გულისხმობს სამიზნე ქვეყნის სოციალური და კულტურული რეალიების გაცნობას და დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

უცხოური ენის სტანდარტში მიმართულება „კულტურთა დიალოგი“ ყველა საფეხურზე გვხვდება და მიზნად ისახავს *„მოსწავლეთა ყურადღების გამახვილებას უცხო კულტურის თავისებურებებზე. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება, შეაფასონ, პარალელები გაავლონ საკუთარ კულტურულ გამოცდილებასა თუ გარემოსთან. ასეთი სახის აქტივობები მოსწავლეებს გაუღრმავებს კულტურული კუთვნილების განცდას, გააცნობიერებინებს კულტურულ მრავალფეროვნებას, ასწავლის საკუთარი და უცხოური კულტურის დაფასებას“* (საგნობრივი პროგრამა უცხოურ ენებში. თავი XXIV).

კულტურული კომპეტენციის განვითარებისთვის არსებობს მეთოდებისა და აქტივობების ჯგუფი. ამ მიმართულებით გაკვეთილის დაგეგმვის დროს გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

1. ტექსტების თემატიკა უნდა იყოს შემეცნებითი და საკომუნიკაციო;
2. ტექსტებთან ერთად, აუცილებელია ვიზუალური მასალის გამოყენება, მაგალითად, ფილმების ნაწყვეტები, მულტფილმები, საინფორმაციო და დოკუმენტური გადაცემები;
3. ავთენტური და ნაწილობრივ ადაპტირებული მასალების განხილვა.

ამ მიმართულებისთვის მნიშვნელოვანი ასპექტია იმის დემონსტრირება, რომ განსხვავებულ კულტურებს, მიუხედავად ინდივიდუალურობისა, შეიძლება ბევრი საერთო ჰქონდეთ.

„კულტურათა დიალოგის“ კონტექსტში, გაკვეთილზე, სასურველია, ყურადღება მივაქციოთ შემდეგ საკითხებს:

1. შემეცნებითი ამოცანები:
- სამიზნე ქვეყნის შესახებ წინარე ცოდნის გააქტიურება;
- სამიზნე ქვეყნის კულტურის გაცნობა არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით.

2. სასწავლო ამოცანები:
- ქვეყანათმცოდნეობის მიმართულებით ავთენტური მასალების წაკითხვა;
- ლექსიკონის გამოყენებისა და თარგმანის უნარის განვითარება.

3. აღმზრდელობითი ამოცანები:
- კულტურათა დიალოგის ცნების განმარტება და მოსწავლეებში ტოლერანტობის განვითარება;
- მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის მზაობა;
- თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების უნარის განვითარება.

როგორც ვხედავთ, უცხოური ენის შესწავლა მხოლოდ ფონეტიკური, გრამატიკული თუ ლექსიკური უნარების განვითარებას არ ნიშნავს. ენის შესწავლა, ასევე, მოიცავს კულტუროლოგიურ ასპექტს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია უცხოური ენის და კულტურის უკეთ გაგებისთვის. კულტურათა დიალოგის მიზანია საერთოს პოვნა განსხვავებულ ტრადიციებსა და ფასეულობებს შორის, მოსწავლეებისათვის იმის ჩვენება, რომ სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურაში ბევრია საერთო სიუჟეტი, თემა და ნაწარმოების იდეა. მაგალითად, თუ განვიხილავთ ფოლკლორს, დავრწმუნდებით, რომ ყველა ერს აქვს ზღაპრები, ხალხური სიმღერები, ანდაზები, იგავ-არაკები, თქმულებები, ლეგენდები და ა.შ. ამ ნაწარმოებებში იკვეთება ერების საერთო იდეალები: სიკეთე, სამართლიანობა, სილამაზე.

საქართველოში ყველა უცხოური ენა გაერთიანებულია ერთ სტანდარტში, შესაბამისად, მიმართულებები, ამოცანები და მიზნები ყველა ენის პედაგოგებს ერთნაირი გვაქვს. მიმართულება „კულტურათა დიალოგი“ მინდა განვიხილო რუსული, როგორც უცხოური ენის, მაგალითზე.

ლიტერატურული კომპონენტი „კულტურათა დიალოგის“ მიმართულებაში

ცნობილია, რომ ყველაზე მჭიდრო კავშირი კულტურასთან მხატვრულ ლიტერატურას აქვს, რომელშიც ყველაზე კარგად ჩანს ენის თავისებურებები და სამიზნე ქვეყნის ადათ-წესები. რუსულ კლასიკურ ლიტერატურაში ასეთი მაგალითი უამრავია, თუმცა ჩვენ, ამ მიმართულებით, ვაწყდებით გარკვეულ პრობლემებს:
- რუსული კლასიკური ლიტერატურა თითქმის არ არის წარმოდგენილი სახელმძღვანელოებში, მხოლოდ ნაწარმოებების ნაწყვეტებია მცირე რაოდენობით;
- ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეების ლექსიკური მარაგი არასაკმარისია ნაწარმოების გაგებისთვის.

ამ ვითარებაში, ჩვენი მიზანია, შესაბამისი მეთოდების შერჩევა, ერთი მხრივ, იმისთვის, რომ მასალა მივაწოდოთ მოსწავლეს გასაგები და საინტერესო ფორმით და, მეორე მხრივ, არ დავკარგოთ მხატვრული ნაწარმოების თავისებურება და ეროვნული კოლორიტი. ამიტომ, თუ ვგეგმავთ „კულტურათა დიალოგის“ მიმართულებით შედეგზე გასვლას, ნაწარმოების განხილვის სტრატეგია უნდა შევიმუშაოთ – განხილვის საწყის ეტაპზე წინ წამოვწიოთ ნაწარმოების ყველაზე საინტერესო ელემენტი, საკითხი. მაგალითად, ოსტროვსკის პიესის განხილვის დაწყებამდე, მოსწავლეების ყურადღებას ვამახვილებ იმაზე, რომ გაკვეთილზე უნდა წაიკითხონ ისტორია სასიყვარულო სამკუთხედზე, რაც ყოველთვის იწვევს დაინტერესებას.

შემდეგ ეტაპზე, ვახდენთ ლექსიკის შესწავლას, ანალიზს და გადავდივართ ნაწარმოების წაკითხვაზე, სხვადასხვა სააზროვნო სქემებისა და რუკების გამოყენებით, დამატებითი რესურსების (ფოტოები, პრეზენტაცია) დახმარებით.

ქვეყანათმცოდნეობის კომპონენტი „კულტურათა დიალოგის“ მიმართულებაში

ქვეყანათმცოდნეობის კომპონენტი უცხოური ენის სწავლების პროცესში სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს სწრაფად განვითარებადი ტურისტული სფერო და, შესაბამისად, გაზრდილი ინტერესი ქვეყნებისადმი. ეს ფაქტორი დადებითად მოქმედებს მოსწავლეების მოტივაციაზე. ქვეყანათმცოდნეობის თემაზე არსებული მასალების დახმარებით, მოსწავლეებს ვაწვდით ინფორმაციას სამიზნე ქვეყნის გეოგრაფიაზე, ისტორიაზე, ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, განათლებასა და ა.შ.

სახელმძღვანელოებში ამ კომპონენტს უფრო მეტი ყურადღება ეთმობა, ვიდრე ლიტერატურულს. მასალა ქვეყანათმცოდნეობის შესახებ შემოთავაზებულია სწავლების ყველა საფეხურზე და მოიცავს სხვადასხვა თემატიკას. მაგალითად, ტექსტები – «Экскурсия по Киеву», «Петербург – город Петра» (ს2), «Россия», «Украина» (ს4), «Красная площадь», «Московский Кремль» (ს5), «Московский государственный университет» (ს6) და ა.შ.

ამ კომპონენტთან მუშაობის დროს, მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ტექსტის შემდეგ მოცემულ დავალებებს, რომლებიც მიმართულია ტექსტის გააზრებასა და საკომუნიკაციო კომპეტენციის განვითარებაზე. საუბარია შემდეგი ტიპის დავალებებზე: კითხვებზე პასუხი, ინფორმაციის დახარისხება, გამოტოვებული სიტყვებისა და ფრაზების ჩასმა და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტები და მეთოდები გვეხმარება უცხოური ენის სტანდარტით განსაზღვრული მიზნების მიღწევაში. „კულტურათა დიალოგის“ მიმართულებით ჩვენი ძირითადი მიზანია, მოსწავლეებს განვუვითაროთ ინტერესი და ტოლერანტული დამოკიდებულება უცხოური კულტურის თავისებურებების მიმართ.

იულია ტერ-მიქაელიანი
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. Русский язык как неродной: новое в теории и методике (IV международная научно-методическая конференция. Сборник научных статей. Выпуск 4) Москва 2015;
2. ინტერაქტიური მეთოდები პრაქტიკაში. მასწავლებლის წიგნი (სოფიკო ლობჟანიძე, მაია ფირჩხაძე, მანანა რატიანი, ნინო ლომიძე, ნინო ჭიაბრიშვილი, რუსუდან თედორაძე, მაია ჯალიაშვილი), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016;
3. *საგნობრივი პროგრამა უცხოურ ენებში, თავი XXIV.*

მეთოდიკა

კროსვორდებით სწავლება

მოტივი – პიროვნების შინაგანი მიდრეკილება ამა თუ იმ აქტივობის განსახორციელებლად, რომელიც დაკავშირებულია გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან.

სწავლის მოტივების ძვეშ ორი ჯგუფი ერთიანდება:
- პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სასწავლო საქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებული მოტივები, ესენია: ბავშვის შემეცნებითი ინტერესები, ინტელექტუალური აქტივობის მოთხოვნილება;
- *მეორე ჯგუფს წარმოადგენს* სწავლის ფართო სოციალური მოტივები, ანუ მოტივები, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვის სხვა ადამიანებთან ურთიერთობის, მათგან შექებისა და აღიარების მოთხოვნილებასთან. ასევე, ბავშვის სურვილი, დაიკავოს გარკვეული ადგილი სოციალური ურთიერთობის სფეროში.

მოტივაციის გავლენა სწავლაზე

წამყვანი მოტივი მოსწავლის წამყვან ქცევასთან არის დაკავშირებული. 5-6 წლის ასაკში, ბავშვის წამყვანი ქცევა თამაშია, ხოლო 6-7 წლიდან წამყვანი ქცევა სწავლა ხდება.

წამყვანი მოტივი – თამაში

ბავშვის ზრდასთან ერთად იცვლება თამაშის სახეც. ადრეული ასაკის ბავშვებს, თამაშის დროს, არ აქვთ მიზანი, არ ემორჩილებიან ამა თუ იმ წესს, 5-6 წლიდან კი, ბავშვები ისახავენ მიზანს, ადგენენ თამაშის წესებს, ეხმარებიან ერთმანეთს. ლ. ვიგოტსკის თანახმად, თამაშში მცირდება წარმოსახული სიტუაციის როლი და იზრდება წესების მნიშვნელობა. თუ ბავშვმა თამაშის ყველა ფორმა არ გაიარა, სწავლის მოტივიც დაიგვიანებს.

სკოლამდელ ასაკში თამაშის წარმმართველი თვითონ პროცესია – მანიპულაციური, საგნობრივი და სიუჟეტურ-როლური თამაშის დროს, ბავშვი სიამოვნებას თვითონ თამაშისგან იღებს; წესებიან თამაშში კი, მნიშვნელოვანია შედეგი, ანუ გამარჯვება, ხოლო გამარჯვებისთვის განსაზღვრული უნარების განვითარება-სწავლაა საჭირო.

თამაშით ბავშვი ფსიქოგენურ და სოციოგენურ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს.

რა ეხმარება მასწავლებელს სწავლის მოტივაციის ფორმირებაში?

სწავლის მოტივაციისა და ნებელობის გასავითარებლად, შეიძლება გამოვიყენოთ სიტუაცია, რომელშიც ხდება ახალი შთაბეჭდილებების მიღებისა და უფროსებთან პოზიტიური ურთიერთობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ასეთი სიტუაციის შესაქმნელად, შეგვიძლია გამოცანის ეფექტი გამოვიყენოთ. ყველა ბავშვს უყვარს გამოცანები, რებუსები, კროსვორდები. მსგავსი აქტივობები საგრძნობლად აცოცხლებს სასწავლო პროცესს.

სწორედ მოტივაციის ასამაღლებლად და მათი ინტერესის გაღვიძებისთვის, ხშირად მივმართავ სხვადასხვა აქტივობებს. გთავაზობთ ერთი გაკვეთილის ნიმუშს, რომელზეც მოტივაციის ასამაღლებელი აქტივობები გამოვიყენე.

გაკვეთილის თემა: შემაჯამებელი გაკვეთილი „ცხოველები“

მოტივაციის ამაღლება და განწყობის შექმნა:

თვალსაჩინო მეთოდი

გაკვეთილის დასაწყისში მოტივაციის შექმნას და განწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ეფექტურად წარმართვისთვის. გაკვეთილის დასაწყისში, მოტივაციისთვის, გამოვიყენებ სლაიდს, რომელზეც ასახული იქნება ცხოველთა სურათები. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი ცხოველია გამოსახული სურათზე (მელია, დათვი, გოჭი, მაიმუნი და .ა.შ.).

კითხვა-პასუხის მეთოდი
- რომელი ცხოველები იცანით?
- ყველაზე ხშირად რომელი ცხოველები გვხვდება ცხოვრებაში?
- რომელი ცხოველია ყველაზე მშიშარა? ყველზე ძლიერი?
- სად შეიძლება ვნახოთ ყველა ცხოველი ერთად?
- რამდენ ჯგუფად იყოფიან ცხოველები?
- რატომ ჰქვიათ მათ შინაური? გარეული?
- როგორ განსხვავდებიან ისინი კვების მიხედვით?

ამის შემდეგ მოსწავლეებს ვთავაზობ თამაშს: „გამოიცანი რომელი ცხოველია“. ვიწყებ პრეზენტაციას, სადაც დახასიათებულია ცხოველი და მათ უნდა შეძლონ გამოიცნონ, რომელ ცხოველზეა საუბარი. პრეზენტაციასთან ერთად, ვუსვამ კითხვებს:
- როგორ მიხვდით, რომ საუბარია მელაზე?
- რომელი მოთხრობიდან ან ზღაპრიდან გახსოვთ, რომ მელა მატყუარაა?
- რატომ არის მაიმუნი სასაცილო? სად გინახავთ მაიმუნი?
- თქვენი აზრით, რატომ ეძახიან კატას თაგვების მტერს? და ა.შ.

მოსწავლე იხსენებს ნასწავლს, უკავშირებს ნანახს, ამ დროს ხდება ლოგიკური აზროვნება.

კროსვორდების შევსება

შემეცნებითი მოტივაციის შესაქმნელად და აქტივობის შესრულებისკენ ბიძგის მისაცემად, გამოვიყენეთ სიტუაცია, რომელშიც ხდება ცნობისმოყვარეობის მოთხოვნლების დაკმაყოფილება.

ცნობისმოყვარეობა ის ბაზისური მოთხოვნილებაა, რომელიც საფუძვლად უდევს ბავშვის ფსიქიკის განვითარებას. ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ბავშვები შემეცნებით აქტივობას ახორციელებენ, შემდეგ კი დგება მომენტი, როცა მოქმედების შედეგი (ანუ შევსებული კროსვორდი) უფრო მნიშვნელოვანი ხდება ბავშვებისათვის, ვიდრე ის მოტივი, რომელმაც მათ მოქმედებისკენ უბიძგა.

წინასწარ მაქვს გამზადებული ფლიფჩარტზე კროსვორდი, ასევე, დაბეჭდილი კროსვორდი ინდივიდუალურად (შეიძლება წყვილებშიც).კროსვორდებში სიტყვები დანომრილია, მათ მე განვმარტავ სიტყვიერად, ხოლო მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ სიტყვა და ჩასვან შესაბამის უჯრაში, ამის შემდეგ ყველა სიტყვა იწერება დიდ ფორმატზე. კროსვორდის დასრულების შემდეგ, სრულად ვკითხულობთ – რა მივიღეთ თითოეულ სიტყვაში. ამის შემდეგ, დაფაზე გამოკრული მაქვს წინასწარ გამზადებული ცხოველთა ილუსტრაციები და მოსწავლეებმა ისინი დაწერილ სიტყვებს უნდა შეუსაბამონ.

აღნიშნული მეთოდი დადებითია სასწავლო პროცესისთვის, რადგან ხდება:
- ნასწავლი მასალის მეხსიერებიდან ამოყვანა;
- სიტყვის მორგება და ჩასმა;
- სიტყვის პრაქტიკულად გამოყენება;
- ნასწავლის შემოწმება და თვითშეფასება;
- მოტივაციის ამაღლება.

ხელს უწყობს: ყურადღებისა და მეხსიერების, ასევე, შემოქმედებითი უნარის განვითარებას.

შედეგი – გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ:
- დაასახელონ შინაური და გარეული ცხოველები.
- ამოიცნონ ცხოველები მათი თვისებებისა და სხვადასხვა ნიშნის მიხედვით;
- მოახდინონ ცხოველთა კლასიფიკაცია კვების მიხედვით;
- დამოუკიდებლად შეასრულონ სხვადასხვა კროსვორდები.

ამრიგად, დაწყებით კლასში დიდი მნიშვნელობა აქვს მოტივაციის ასამაღლებელი აქტივობების გამოყენებას.

მოტივაცია ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოკვლეული ფაქტორია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში. მრავალი კვლევით დადასტურებულია, რომ მხოლოდ მაღალი მოტივაციის პირობებშია შესაძლებელი მოსწავლის მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევა.

მეგი კუთხაშვილი
თბილისის №83 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგი

გამოყენებული ლიტერატურა:
- *დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი.*

სწავლების მეთოდი

განსხვავებული სასწავლო აქტივობების გამოყენება ფიზიკის გაკვეთილებზე

ფიზიკა საინტერესო მეცნიერებაა, მის გარეშე წარმოუდგენელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. მაგრამ რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, ფაქტია, რომ შემცირდა ფიზიკის შესწავლით დაინტერესებულ მოსწავლეთა და სტუდენტთა რაოდენობა. ამჯერად არ ვისაუბრებ ამ საგნის სწავლებაში არსებულ გამოწვევებზე, უბრალოდ მსურს ზოგიერთი ჩემი შეხედულება და გამოცდილება გავუზიარო კოლეგებს.

პირველ რიგში, სკოლაში გადაუდებლად უნდა განხორციელდეს კონკრეტული საქმიანობა, კერძოდ: ყოველდღიური ურთიერთობა მოსწავლეებთან მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ მათ ვარწმუნებდეთ ფიზიკის გარეშე ცნობისმოყვარეობის დაუკმაყოფილებლობასა და იდუმალებით მოცულ სამყაროს შეუცნობადობაში; პოპულარიზაცია გავუწიოთ უახლოესი პერიოდის აღმოჩენებს ფიზიკაში; ყურადღება გავამახვილოთ ქართველ მეცნიერთა (გია დვალი და მისი ჯგუფი, ნოდარ ცინცაძე და სხვა) მიღწევებზე; სასწავლო პროცესი გავხადოთ მოსწავლეზე ორიენტირებული და ვასწავლოთ მათ შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკული გამოყენება, ჩავრთოთ შემოქმედებით და კვლევით საქმიანობაში.

პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, მოსწავლეები კარგად სწავლობენ საგანს (მათ შორის ფიზიკას), თუ: დარწმუნებულნი არიან, რომ მასწავლებელს თვითონ უყვარს საგანი და პირადი მაგალითით ცდილობს, შეაყვაროს აღსაზრდელებსაც; მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობა თანამშრომლობის პრინციპებზეა აგებული და გრძნობენ, რომ მათ აზრს პატივს სცემენ; ჩართულნი არიან შემოქმედებით-კვლევით პროცესში; აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო პროცესში და დამოუკიდებლად უხდებათ პრობლემურ სიტუაციებში გარკვევა და სხვ.

დღევანდელ პირობებში ყველანაირი სიძნელის დაძლევის ბერკეტები რომ მასწავლებელმა ჩაიგდოს ხელში, იგი უნდა იყოს შემოქმედი, კვალიფიციური და კომუნიკაბელური, როგორც არასდროს, აუცილებელია სწავლების წარმართვა თანამედროვე, არატრადიციული მეთოდებითა და ხერხებით. ფიზიკა რამდენადაც მიმზიდველი და საინტერესო საგანია, იმდენადვე რთული და სპეციფიკურიცაა. თეორიული მასალის მოცულობა, ამოცანების სიმრავლე, პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოები მოსწავლეებისაგან მოითხოვს ყურადღებას, აზროვნებას, საკითხებში სიღრმისეულ წვდომას. ამის მიღწევა ტრადიციული გაკვეთილებით ძნელდება. სამაგიეროდ, საპროგრამო თემატიკა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენების ფართო შესაძლებლობებს იძლევა. მეთოდთა მიზნობრივი გამოყენება და შედეგის მიღწევა მთლიანად მასწავლებლის ოსტატობაზეა დამოკიდებული.

ამ ამოცანების განხორციელებისათვის, პედაგოგი დაუფლებული უნდა იყოს სწავლების ინტერაქტიულ მეთოდიკას, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული და აქტივობების, კრიტიკული აზროვნების, დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების, საბოლოოდ კი, მისი პიროვნული ზრდა-განვითარების საშუალებას იძლევა.

ამგვარი საქმიანობის განხორციელებისათვის ეფექტურია ისეთი განსხვავებული სასწავლო აქტივობების გამოყენება, როგორებიცაა: მუშაობა წყვილებსა და ჯგუფებში, დისკუსია, ექსპერიმენტი, როლური თამაშები, პროექტები, ბუნებაში სწავლა.

ფიზიკის შესწავლისადმი ინტერესის გაღვიძების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა დიდაქტიკური თამაშები. სწავლების არსებული მეთოდებისაგან განსხვავებით, თამაშში სხვადასხვა სახის ცოდნას და ინფორმაციას მოსწავლე თავისუფლად იღებს. ამიტომაც არის, რომ რასაც ახსნის, თუ თხრობის დროს რთულად და მიუწვდომლადაც კი მიიჩნევს, თამაშის დროს ადვილად ეუფლება. ყოველივე ამას დიდი ფსიქოლოგიური ეფექტიც აქვს, რადგან ინტერესს თან ახლავს კმაყოფილების გრძნობაც. ამიტომ მისი გამოყენება ყველა სასკოლო ასაკში შეიძლება.

გაკვეთილებზე დიდაქტიკური თამაშების ხშირად გამოყენებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებში არა მარტო ცოდნის შეძენას, არამედ გარკვეული გრძნობებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორიცაა: ყურადღებიანობა, დაკვირვებულობა, გააზრება, მახსოვრობა და სხვა. საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულმა დიდაქტიკურმა თამაშმა კი არ უნდა დაარღვიოს გაკვეთილებისადმი წაყენებული მოთხოვნები და მისი სტრუქტურა, არამედ, პირიქით, ხელი უნდა შეუწყოს გაკვეთილის მიზნის მიღწევას. ამიტომ იმ დიდაქტიკურ თამაშებს, რომლებსაც გამოვიყენებთ გაკვეთილზე, გარკვეული მოთხოვნები უნდა წავუყენოთ, კერძოდ: თამაში აუცილებლად უნდა ეხებოდეს საპროგრამო მასალას და ხელს უწყობდეს მის შესწავლას, თამაში უნდა იყოს მისაწვდომი, მიზანი კი – მისაღწევი, ყველა თამაში უნდა იყოს ემოციური, მოსწავლეებს მოჰგვაროს სიამოვნება. მათი აქტივიზაციის გაზრდის მიზნით, თამაში უნდა ატარებდეს შეჯიბრის სახეს. დიდაქტიკური თამაშები, თავისი შინარსისა და ორგანიზების მიხედვით, შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: **შემოქმედებითი ხასიათის, თამაში-შეჯიბრი, თამაში დასარიგებელი მასალით.**

შემოქმედებითი ხასიათის თამაშები ხელს უწყობს მოზარდის შემოქმედებითი ნიჭის და ფანტაზიის გამოვლენას. ასეთი სახის თამაშს, პირობითად, შეიძლება ვუწოდოთ იმიტაციურ-შემოქმედებითი, რადგან იგი ისეთ თამაშებს განეკუთვნება, სადაც ყველაზე მეტად უნდა გამოვლინდეს მოსწავლის ფანტაზია და მისი გადატანითი მნიშვნელობით გამოყენების უნარი. ამ თამაშის სასწავლო მიზანი არის ფიზიკური კანონების, მოვლენებისა და ფაქტების გამეორება და ადამიანებისათვის მათი მნიშვნელობის გაგება. თამაშის ამ სახეობას მიეკუთვნება რომელიმე ფიზიკური მოვლენის ან სიდიდის ე.წ. „გასამართლება“. შეიძლება „გავასამართლოთ“ ინერცია, ხახუნი, რეზონანსი, ელექტრული წინაღობა, ინტერფერენცია, დაფრაქცია და სხვ.

გაგაცნობთ მეცხრე კლასში ჩემ მიერ განხორციელებულ აქტივობას **„ვასამართლებთ ხახუნის ძალას“**. მოსწავლეებმა წინასწარ მოირგეს: ბრალმდებლის, ადვოკატის, მოსამართლის, სახალხო მსაჯულის, მოწმის, დაზარალებულის და სხვათა როლები. ერთად დავწერეთ სცენარი, მოსწავლეებმა მოისხეს მოსამართლის მანტია და ჩაიცვეს პოლიციელის ფორმა. ვიზრუნეთ იმისათვის, რომ გაკვეთილს სასამართლო პროცესის სახე ჰქონოდა, ხოლო საკლასო ოთახს – სასამართლო დარბაზის. წარმოგიდგენთ ამონარიდს „სასამართლო პროცესიდან“.

სასამართლოს მდივანი:

– სასამართლო მოდის, გთხოვთ ადგეთ!

მოსამართლე:

– დაბრძანდით! დღეს განიხილება საქმე №1 – „ხახუნის ძალის დანაშაული კაცობრიობის წინაშე“. მინდა წარმოგიდგინოთ საქმეში არსებული არაერთი საჩივარი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გროვდებოდა სასამართლო უწყებაში (აჩვენებს ქარალდების შეკვრას). ამ საჩივრის ავტორები თავს დაზარალებულად თვლიან, რაშიც ხახუნის ძალას ადანაშაულებენ. დღეს ჩვენ უნდა მივიღოთ ისტორიული გადაწყვეტილება. გთხოვთ, შემოიყვანეთ დამნაშავე.

პოლიციელს შემოჰყავს დამნაშავე

მოსამართლე:

– მოვუსმინოთ დაზარალებულებს, ისინი თავად იტყვიან თავიანთ სათქმელს.

დაზარალებული:

– (ვფიცავ ვიტყვი სიმართლეს და სხვას არაფერს სიმართლის გარდა) ბატონო მოსამართლევ! ოჯახში დაზოგილი თანხით ავტომობილი შევიძინე, გამოცდილი მძღოლი ვარ და მოძრაობის წესებს ვიცავ. თუმცა, ამას წინათ, ავარიაში მოვყევი და ტრავმა მივიღე, რადგან მუხრუჭები, ცვეთის გამო, გამოვიდა მწყობრიდან. ძრავაც ვეღარ ავამუშავე, რადგან კბილანები იყო მწყობრიდან გამოსული. ამის მიზეზი კი სწორედ ხახუნის ძალაა (ხელს იშვერს მისკენ). მოვითხოვ მის დასჯას მთელი სიმკაცრით.

ე.წ. პროცესზე დაზარალებულები ადანაშაულებენ ხახუნის ძალას და მოითხოვენ მის დასჯას. თუმცა აქტიურობს „დაცვის მხარე“. ისინი წარმოადგენენ უტყუარ გამამართლებელ ფაქტებს და შუამდგომლობენ სასამართლოს წინაშე განთავისუფლების თაობაზე. სასამართლო პროცესს თვალყურს ადევნებენ და ჩართვას ითხოვენ ისააკ ნიუტონი და გალილეო-გალილეი. ბოლოს დგება „სასამართლოს განაჩენი“.

მოსამართლე:

– უამრავ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, ხახუნის ძალა სცნოს უდანაშაულოდ და უფრო მეტიც, გამოეცხადოს მადლობა საუკუნეების მანძილზე გაწეული შრომისთვის. *ჩვენ უნდა გავიაზროთ, რომ ხახუნისა და სხვა ძალები, ერთობლივად, ახერხებენ მუშაობას და აღწევენ წარმატებებს სამყაროს საკეთილდღეოდ. უნდა ვისწავლოთ თანაცხოვრება, ადამიანთა და ბუნებისთვის სასარგებლო და სასიკეთო საქმეების ერთად კეთება.*

სპექტაკლისთვის მზადების პროცესში მოსწავლეებმა სრულყოფილად შეისწავლეს ბუნებაში არსებული ძალები – დრეკადობის, მსოფლიო მიზიდულობის, ხახუნის და ნიუტონის კანონები, მოამზადეს ბუნების ძალების შესახებ მომზადებული პრეზენტაციები. სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებამ ხელი შეუწყო მოსწავლეთა მიერ ათვისებული მასალის ღრმად გააზრებას. მოსწავლეებმა გაითავისეს პრობლემა, დაინახეს კავშირი თეორიასა და პრაქტიკას შორის. სახელმძღვანელოში ნასწავლი მასალა ფიზიკიდან შეივსეს და განამტკიცეს დამოუკიდებელი მუშაობით და დამხმარე ლიტერატურით.

თამაში-შეჯიბრი შეიძლება გავმართოთ როგორც ცალკეული მოსწავლეებს, ასევე მოსწავლეთა ჯგუფებს შორისაც. ეს თამაში, ძირითადად, შეჯიბრის სახეს ატარებს, მას მიეკუთვნება, მაგალითად, „მოგზაურობა ფიზიკის სამყაროში“. მოსწავლეებს მიეცემათ სხვადასხვა სახის დავალება: ზოგი – სახალისო, ზოგი – თვისებრივი ამოცანა, საინტერესო ცდა, რებუსი, გამოცანა. გარდა ამისა, შეიძლება ასეთი თამაშიც: დროის გარკვეულ მონაკვეთში, მაგალითად, ერთ წუთში, რომელიმე ასოზე ვინ მეტ ფიზიკურ ტერმინს, მოვლენას, მეცნიერის გვარს დაასახელებს. შემდეგ ხდება თამაშის პროცესში გამოყენებული ტერმინების განმარტება. მოსწავლეებს შეიძლება მივცეთ სხვადასხვა სახის დასარიგებელი მასალა, სხვადასხვა სირთულის ტესტები, სადაც კითხვას თან ახლავს 3-4 პასუხი. მოსწავლემ უნდა შეარჩიოს სწორი პასუხი. სისწორეს მასწავლებელი სპეციალური საკონტროლო ბარათით შეამოწმებს, სადაც ყველა სწორი პასუხია მოცემული; შეიძლება გამოვიყენოთ ფიზიკური სიდიდეების აღმნიშვნელი ასოები, რომლებიც პატარა მაგნიტებზეა დამაგრებული. მაგნიტური დაფის გამოყენებით, მოსწავლე ამ ასოებისაგან რომელიმე ფორმულას შეადგენს.

განსაკუთრებით საინტერესოა ლოტოს პრინციპზე აგებული თამაში. მოსწავლეებს ურიგდებათ ფურცლები, რომელზეც 4-5 სურათია გამოსახული (პორტრეტი, რომელიმე მოვლენა, ფიზიკური ხელსაწყო და სხვა), წამყვანს აქვს პატარა ზომის ბარათები, რომლებზეც წერია კითხვები. ერთი კითხვის წაკითხვის შემდეგ, მოსწავლეები თავიანთ ფურცელში ეძებენ შესაბამის ნახატს. სწორი პასუხის შემთხვევაში, ეს ნახატი პატარა ბარათით დაიფარება. გაიმარჯვებს ის, ვინც მალე დაფარავს მის ხელთ არსებულ სურათებს.

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, ზოგიერთი თამაშისთვის საკმარისია 3-5 წუთი, ზოგჯერ მეტიც. შესაძლოა გამოვიყენოთ სარეზერვო დროც, რომელიც პროგრამითაა გათვალისწინებული და რომელსაც, შესაბამისი თემის გავლის შემდეგ, მთელ გაკვეთილს დავუთმობთ.

დიდაქტიკური თამაშები შემოქმედებითი ხასიათისაა და ამდენად, თავისუფალი პროცესია. მისი წარმატებით გამოყენება მასწავლებლის ერუდიციაზე, ენთუზიაზმსა და საგნისადმი სიყვარულზეა დამოკიდებული. ვფიქრობ, თუ გამოვძებნით და ავამოქმედებთ ჩვენ ხელთ არსებულ ყველა რეზერვს (ინტელექტუალურს, ტექნიკურს და სხვა), ასევე, გამოვიყენებთ თანამედროვე ტექნოლოგიებს, ამ სფეროში არსებულ გამოწვევებსაც გავუმკლავდებით.

გურამ ნათენაძე
სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის
სოფელ გამარჯვების
საჯარო სკოლის დირექტორი,
ფიზიკის მასწავლებელი

წიგნის თარო

გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ

5 ლარი

12 ლარი

ფასდაკლება

10 ლარი
7 ლარი

9 ლარი
6 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

ქართული ენის გრამატიკა
მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

დიოგენე

4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული
პროზა ლიტერატურის
შემსწავლელთათვის

12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული
ტექსტი და ანალიტიკური
გზამკვლევი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია
I-VI კლასების
მოსწავლეებისათვის,
„კითხვის საათის“
სპეციფიკის
გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

15 ლარი

19 ლარი

19 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია
გიორგი მეჭურჭლიშვილი,
არჩილ თაბუკაშვილი,
კონსტანტინე ბარამია

გავიმეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და
მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის
მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის,
ალბათობისა და სტატისტიკის საკითხები.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

ეროვნული გამოცდისათვის

წიგნი I
V-XVIII სს
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა

15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები

15 ლარი

სიახლე

მასწავლებლებს!
უნიკალური შესაძლებლობა მარტივად მოემზადოთ გამოცდისთვის!
კრებული სრულად ფარავს პროგრამას I-IV კლასების კომბინირებული გამოცდისთვის. მასში 1000-მდე ტესტური დავალებაა პასუხებით და მეთოდური რეკომენდაციებით.

15 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ქართული (I-VI კლასი) მასწავლებელთა გამოცდებისთვის

11 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი



ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გეგმის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

სასწავლო პროექტები

11 ლარი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი